გაზეთი „ახალი თაობა“ ახალ წელს 2019 წლის კალენდრით გილოცავთ!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 31 დეკემბერი, 2018 №310 (7855) ფასი: 1 ლარი

„კობახიძის კლანი ივანიშვილის ჩამოგდებას აპირებს“

სანდრო ბრეგაძე: „ოცნების“ ლიდერს მართვის სადავეები ხელიდან გაექცა“

გვ.2

გიორგი გუგავა: „ივანიშვილი ოლიგარქიის პირამიდის სათავეა, რაც სახალხო მოძრაობით უნდა შევცვალოთ“

გვ.3

რამინ ჯომიდავა: „წყლის მოვარდნის შემთხვევაში ენგურჰესიც იგივე რისკია, რაც 2 წლის წინ ვერეს ხეობაში მოხდა“

გვ.3

რატომ დაუპირისპირდა მეუფე იაკობი გიორგი გახარიას

გვ.4

უწყებათაშორისმა კომისიამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო

გვ.2

სამართალი

გვ.7

3 შვილის დედა ნაქირავებ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს

ნინო ყიფშიძე შიშველი იყო და სხეულზე მრავლობითი დაზიანებები ჰქონდა

33 ათასი ლარის გამო ახალქალაქში 2 წლის წინ დედა და მისი 3 შვილი მოკლეს

რუსთავში ციხის მორიგე ხაჩატურ მანქასარიანმა თავის მოკვლა ცადა

სპორტის სასახლესთან მამუკა ჩოქურის კი არა, მისი ცოლის, ეკა მგალობლიშვილის, მანქანა დაწვეს



2018311219644

4 ოთარ ანგურიძე: „პენსიების 20 ლარით ზრდა ლარს არ გააუფასურებს“

5 თბილისში საბავშვო ბაღებში კვებაზე 38 მილიონი დაიხარჯება

6 რომელი სახელმწიფოების ინტერესები ეჯახება ერთმანეთს რეგიონში?

5 ოლეგ ოსინოვსკი: „კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ მთავრობამ სწრაფად და ზუსტად უპასუხოს ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევებს“

შორენა მარსაგიშვილი

„კობახიძის კლანი ივანიშვილის ჩამოგდებას აპირებს“

სანდრო ბრეგაძე: „ოცნების“ ლიდერს მართვის სადავეები ხელიდან გაექცა“

ვინ უპირისპირდება „ოცნებიდან“ ეკლესიას, რა პროცესები მიდის მმართველ გუნდში, რა დაუჯდა „გირჩის“ გადმობირება ივანიშვილს, რას უპირებს მას „ოცნების“ ერთ-ერთი დაჯგუფება, რა კავშირი აქვს არეულობასთან სალომე ზურაბიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.

– რამდენიმე კვირის წინ თქვენ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადეთ, რომ კობახიძე-მდინარაძე-თალაკვაძე-ზარდიაშვილის ჯგუფი პარლამენტში გადატრიალებას გეგმავს. ეკა ბესელიას გადადგომა არის თუ არა კავშირში იმ პროცესებთან, რომლებზეც თქვენ საუბრობდით?

– ბიძინა ივანიშვილს პროცესების მართვის სადავეები ხელიდან გაექცა – „ქართული ოცნების“ გუნდში სრული ქაოსია დაწყებული. ქაოსია როგორც საპარლამენტო გუნდში, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამას ემატება ისიც, რომ მმართველი პარტია უკვე ღია დაპირისპირებაში შევიდა ქართულ ეკლესიასთან.

ის ქაოსი, რომელმაც მთელი ხელისუფლება მოიცვა, გარდაუვალი იყო. სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის წამოყენება და შემდეგ მისი გაპრეზიდენტება უკვალოდ არ ჩაივლიდა და არც ჩაიარა. ეს ქალი „ოცნებაში“ ყველასთვის მიუღებელი იყო.

– თუ მიუღებელი იყო, რატომ დასახელდა მისი კანდიდატურა?

– ეს იყო ბიძინა ივანიშვილის ახირება. ამ ახირებამ მმართველ გუნდში ქაოსი და დაძაბულობა მოიტანა. მინისტრთა კაბინეტი მთლიანად გამოსულია მამუკა ბახტაძის კონტროლიდან. გიორგი გახარიას მთავრობაში ცალკე ავტონომია აქვს შექმნილი.

– რას ნიშნავს, ცალკე ავტონომია აქვს შექმნილი?

– ის არავის არ ემორჩილება და ქვეყნის ფაქტობრივი პრემიერიც გახარიაა. რაც შეეხება ოფიციალურ პრემიერს, მამუკა ბახტაძეს, ის ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტით არის დაკავებული. საკადრო და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მას აკრძალული აქვს.

გახარიას გარდა, მთავრობაში არის კიდევ ერთი, სოზარ სუბარის დაჯგუფება. ეს უკანასკნელი ისე აკონტროლებს გუბერნატორებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ბახტაძესთან კონსულტაციებსაც კი არ გადის.

რაც შეეხება „ოცნების“ საპარლამენტო გუნდს, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ აქ რამდენიმე დაჯგუფებაა. ისინი ერთმანეთს უფრო დაუნდობლად ებრძვიან, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას.

ნაციონალური მოძრაობის პირდაპირი გაგრძელებაა კობახიძე-თალაკვაძე-მდინარაძე-ზარდიაშვილის დაჯგუფება. ისინი ადრეც ნაციონალებთან იყვნენ ბმაში და ეს ბმა დღემდე გრძელდება.

მე წინა ინტერვიუში უკვე გითხარით, რომ თალაკვაძე ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ის სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ვანო ზარდიაშვილი ის ადამიანია, ვინც 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ ქართველების სისხლით მორწყულ რუსთაველზე დარბოდა და მიშა-მიშას ყვიროდა.

ნაციონალებთან დაკავშირებულ დაჯგუფებასა და „ოცნების“ ძველ სახეებს შორის კონფლიქტი გარდაუვალი იყო და ეს მოხდა კიდეც. დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების გადატრიალება. ქვეყანაში ყველანაირი პოლიტიკური პროცესი მოშლილია. თავშიც გითხარით და კიდევ გავიმეორებ – ივანიშვილს მარტო ბიძინა ივანიშვილს ეკლესიასთან, ეკა ბესელიასთან, ოცნებასთან, ნაციონალებთან, ბატონ ივანიშვილს ძალიან უყვარს ნაციონალები და მათგან დისტანცირებას ვერ ახერხებს. ამ სიყვარულის დაგვირგვინება იყო მურუსიძის ამბავი.

ის მოსამართლეები, რომლებიც 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის თანამონაწილეები იყვნენ, „ოცნებამ“ ყველა უვადო მოსამართლედ დანიშნა. ივანიშვილს ჰგონია, რომ რადგან ეს ადამიანები სააკაშვილს ემონებოდნენ, მის მონობასაც სიამოვნებით დათანხმდებიან.

„ოცნების“ ლიდერს ავიწყდება ერთი რამ – მიხეილ სააკაშვილს მურუსიძე და სხვა მოსამართლეები ისეთი კომპრომატებით ჰყავს დაჭერილი, რომ ისინი ნაციონალების გავლენიდან ვერასდროს გამოვლენ.

ჩემთვის დაახლოებით ცნობილია, თუ რა სახის კომპრომატებია. ბატონ მურუსიძეზეც აქვთ ნაციონალებს სერიოზული კომპრომატები. მათ ფარულად აქვთ გადაღებული, თუ როგორ აწარმოებს ის მოლაპარაკებებს გირგვლიანის საქმის ფალსიფიკაციასთან დაკავშირებით. მურუსიძე ზურაბ ადეიშვილს და ვანო მერაბიშვილს ელაპარაკება, თუ როგორ უნდა მოგვარდეს გირგვლიანის საქმე.

– შემთხვევით მურუსიძესაც ხომ არა აქვს „ოცნების“ ლიდერებზე რაიმე კომპრომატები? წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოუდგენელია ისეთი გადაფიჩინება, რაც მმართველ პარტიას ამ საკაზე დაემართა.

– არ ვიცი, მურუსიძეს ვისზე რა კომპრომატი აქვს, მაგრამ ის, რომ ზარდიაშვილი „ოცნების“ სიაში მოხვდა, იმაზე მეტყველებს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის გარიგება შედგა.

ბიძინა ივანიშვილმა თავად შექმნა ეს დომხალი და აჯაფსანდალი. ამის გამო ის შეიძლება მწარედ დაისაჯოს.

„ოცნების“ ლიდერი ამ პროცესებში არანაირად არ ერევა, რითაც ხელს უწყობს გუნდში დაპირისპირების გაღრმავებას.

– დაპირისპირების გაღრმავება რაში აწყობს?

– უნდა, რომ ახალი წლების შემდეგ გამოჩნდეს და ეს ყველაფერი დაალაგოს. ამით ქართველ საზოგადოებას დაუმტკიცებს, რომ მხოლოდ მას შეუძლია არეულის დალაგება.

– თქვენი აზრით, ვერ დაალაგებს?

– დალაგება მხოლოდ დროებითი იქნება.

– რატომ იქნება დროებითი?

– ხალხს სხვა პრობლემები აწუხებს და მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, დაალაგებს თუ არა ივანიშვილი კობახიძესთან საქმეს. ეს ქვეყანაში არც გაჭირვებას მოსპობს და არც ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს.

ვერაფრით გავიგე, რაში სჭირდება ივანიშვილს ამ დაპირისპირების გაღრმავება საიმისოდ, რომ მერე დამლაგებლად წარმოჩნდეს. თავის დროზე ასეთი პოლიტიკა ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა. ის კახა თარგამაძისა და ზურაბ ჟვანიას კლანებს აჭმევინებდა ერთმანეთს.

კახა თარგამაძეს ეუბნებოდა, ზურაბ ჟვანია ჩამოაშორე პარლამენტის თავმჯდომარეობას და შენ დაგნიშნავ პრემიერადო. ჟვანიას ეუბნებოდა, მოაშორე თარგამაძე შს მინისტრობიდან და მთავრობის მეთაური შენ გახდებიო. დააჭმევინა ამ კლანებს ერთმანეთი და მერე ორივე ერთად მოიცილა.

– კახა თარგამაძეც და ზურაბ ჟვანიაც ერთ დღეს გადადგნენ.

– ერთად გადადგნენ და შევარდნაძემაც ამოისუნთქა. ეგონა, რომ მას ხელში ჰყავდა აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა, მაგრამ რა მოხდა? ასპარეზზე გამოვიდა სააკაშვილი, რომელმაც ვარდების რევოლუცია მოაწყო და დაამხო შევარდნაძე.

ივანიშვილს როცა ეგონება, რომ ყველაფერი დაალაგა და სასურველი შედეგი მიიღო, სწორედ მაშინ ჩამოაგდებენ მას.

„ნაციონალებს მურუსიძეზე სერიოზული კომპრომატები აქვთ“

**„ოცნებიდან“ ეკლესიას, „გირჩის“ ლიდერ ბიძინა ბოკერიას, ბატონ ივანიშვილს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ბატონ ბიძინა

გიორგი გუგავა: „ივანიშვილი ოლიგარქიის პირამიდის სათავეა, რაც სახალხო მოძრაობით უნდა შევცვალოთ“

იაგო ნაცვლიშვილი

2018 წელი დახუნძლული იყო პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ სამართლებრივი მოვლენებით. თვალსაჩინო გახდა „ქართული ოცნების“ შიგნით დაპირისპირება, რამაც პარტიის ლიდერი და დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახადა, ფორმალურ პოლიტიკაში დაბრუნებულიყო. შეიცვალა ქვეყანაში პრემიერი და პრეზიდენტიც, ერთი – „ოცნების“ შიდა გადაწყვეტილებით, მეორე არჩევნებით, რომელიც ამ ხელისუფლების პირობებში ჩატარებული არჩევნებიდან ყველაზე მძიმედ შეფასდა, თუმცა მაინც ლეგიტიმურად აღიარეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

დავით სარალიძისა და თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობების გამოძიების ჩიხში შესვლამ კი საგამოძიებო სისტემა თავდაყირა დააყენა. შვილმოკლული მამები ისევ კარვებში არიან და გამოძიების რეალურ შედეგებს ითხოვენ. იყო აქციებიც და არაერთი სხვა მოვლენა.

2018 წლის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებსა და 2019 წლის პრიორიტეტებზე „ახალ თაობასთან“ „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა საუბრობს:

– პრაქტიკულად, გავიდა 2018 წელი, რომელიც დახუნძლული იყო პოლიტიკური მოვლენებით. რომელ საკითხს გამოყოფთ? წელს პოზიტიური 1 საკითხი მაინც თუ დაინახეთ?

– სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი პოზიტიური საკითხის გამოყოფა გამიჭირდება. ეს წელი იყო ის, როდესაც მთელი თავისი სიბოროტითა და სიმძიმით, ყველა იმ ნიშნით გამოიკვეთა ოლიგარქიული მმართველობა, რომელიც თრგუნავს, ამონებს და ძარცვავს საკუთარ მოქალაქეებს, ასევე ართმევს სამოქალაქო თუ სამართლებრივ ძირითად ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის, არჩევანის უფლებას.

ყველაფერი ყველაზე მძაფრი ფორმებით სწორედ 2018 წელს გამოიკვეთა. ტოტალური სიღარიბეა ქვეყანაში. ამ ფონზე ვხედავთ, თვითონ ხელისუფლების მაღალჩინოსნები როგორ მდიდრდებიან და მილიონებს ითვისებენ, დანარჩენი მოსახლეობა კი უფლებააყრილია. ყოველივე ეს საფრთხის წინაშე აყენებს ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და მომავალს. აქედან გამომდინარე, რაიმე ასპექტის გამოყოფა მაინც პოზიტიურ თვალსაზრისით გამიჭირდება.

– ვნახეთ არაერთი პოლიტიკური მოვლენა – საკონსტიტუციო ცვლილებები, ივანიშვილის ფორმალურად დაბრუნება პოლიტიკაში, პრემიერის შეცვლა თუ არჩევნები. თქვენ რომელს გამოყოფდით?

– ახსენეთ საკონსტიტუციო ცვლილება და მე ამ საკონსტიტუციო კომისიის წევრი ვიყავი. კონსტიტუცია, რომელიც უმთავრეს სახალხო შეთანხმების დოკუმენტს წარმოადგენს, რომელზეც დაფუძნებულია სახელმწიფო ინსტიტუციები, უფლებები, ანუ მთავარი გარიგება საზოგადოებასთან, ესეც კი საკუთარ თავზე მოირგეს. ჩვენ ამის შედეგებს საკუთარ თავზე კიდევ მოვიმკით.

კიდევ ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო ის სამართლებრივი ფაქტები, რომლებიც 2017 წლის ბოლოს მოხდა, მაგრამ მთავარი მოვლენები ამ ფაქტის ირგვლივ 2018 წელს განხორციელდა. სახელმწიფოს სახელით განხორციელებულ მკვლელობებს ვგულისხმობ, იმავე მაჩალიკაშვილთან მიმართებით, როდესაც სახელმწიფომ ანგარიშსწორება მოახდინა და სახელმწიფომ მოკლა. ვერანაირი მტკიცებულება ვერ დადო სახელმწიფომ იმისა, რომ ეს გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა. გამოძიება, პრაქტიკულად, არ მიმდინარეობს. ამ ფონზე ვუყურებთ, რომ შვილმოკლული მამების აქცია მიმდინარეობს რუსთაველზე.

ასევე სარალიძის საქმე, როდესაც მკვლელებს ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენლებმა ხელი დაუფარეს. გახსოვთ, რა რეაქციებიც გამოიწვია ამან საზოგადოებაში. შეიწირა მთავარი პროკურორის პოსტი, მაგრამ საბოლოოდ ამ საქმეზე სამართალი მაინც არ დადგა და ვუყურებთ, რომ ხელისუფლება მკვლელების მფარველად იქცა.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა არჩევნები იყო. ქვეყანამ რიგით მეხუთე პრეზიდენტი აირჩია. აქ რა სურათი გამოიკვეთა?

– ვნახეთ ტოტალურად გაყალბებული არჩევნები, როდესაც ყველა დაუშვებელი ხერხი გამოყენებული იყო. იქნება ეს მოსყიდვა, ე. წ. კარუსელების დატრიალება, ბინძური პიარკამპანიის წარმოება თუ სხვა. დასკვნებში ჩაიწერა, რომ სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარი იყო წაშლილი.

ოლიგარქიას საკუთარი მდგომარეობა რომ შეენარჩუნებინა, ისინი ყველაფერზე წავიდნენ. ასევე გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ცივილიზებული, კონსტიტუციური სახელმწიფო ფორმალურად ვართ, შინაარსობრივად კი ოლიგარქი მართავს პროცესებს. ქვეყანა იმართება არა არჩევნებით, ინსტიტუციებითა და სამართლებრივი მექანიზმებით, არამედ ამ ყაჩაღი ოლიგარქის ნებაზეა დამოკიდებული, ვის გააგდებს და ვის დანიშნავს მორიგ მარიონეტად. ამიტომ ვამბობ, რომ ამ წელმა მთლიანად გამოაჩინა ის სიმსივნე, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ამ მაფიოზურ მმართველობასთან.

მძაფრად გამოჩნდა ის სიღატაკე და უბედურება, რომელიც ქვეყანაში ტრიალებს. წარმოგიდგენიათ რა მდგომარეობაშია ხალხი, როდესაც ერთ-ერთი უმთავრესი ფუნდამენტური უფლება – არჩევანის უფლება – კარტოფილსა და ხახვზე იყიდება. მიჭირს იმ ადამიანების დაძრახვა, ვინც ამაზე წავიდა. ისინი ამ შემთხვევაში უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. იქ ალბათ გადარჩენის ბიოლოგიური ინსტინქტები მოქმედებს. სხვა ღირებულებებზე საუბარი ძალიან ძნელია.

ეს ადამიანები ამ მდგომარეობაში სწორედ ამ ხელისუფლებამ ჩააგდო, გახადა ასეთი მოწყვლადი, რომ მერე ბითუმად იყიდოს არჩევნების დროს.

ანუ ერთობლიობაში ყველაფერი გვაჩვენებს, როგორ დალპა სისტემა, გამოავლინა მისი მხეცური, მტაცებლური სახე და, შესაბამისად, 2019 წელს მთავარი უნდა იყოს ის, რომ ეს დასრულდეს. სხვა შემთხვევაში ისინი კიდევ უფრო მძიმე ამბებს დაატრიალებენ.

– ახსენეთ ოლიგარქიული სისტემა და მთავარი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი. ერთადერთ გამოსავლად ამ სისტემის ცვლილება მიგაჩნიათ?

– არა მარტო არსებული რეჟიმი უნდა შეიცვალოს, არამედ ფუნდამენტურად და სიღრმისეულად უნდა შევცვალოთ სისტემა და უნდა ვიცოდეთ, რომ ამ სახელმწიფოს და ხალხის მთავარი მტერი ოლიგარქიაა.

მან განვითარების ზენიტს ივანიშვილის მმართველობის პირობებში მიაღწია და მთელი თავისი სიმახინჯით წარმოჩნდა, მაგრამ ეს ყალიბდებოდა წინა რეჟიმების პირობებშიც. ჩვენ თუ ფუნდამენტურად არ შევცვალეთ ღირებულებითი დამოკიდებულება და პოლიტიკური სისტემა სიღრმისეულად არ შევცვალეთ, თუ ოლიგარქიას ხელისუფლებაში ყოფნა არ ავუკრძალეთ, მაშინ ეს უბედურება იქნება.

როდესაც ოლიგარქია და ხელისუფლება ხდება ერთი და იგივე, ჩვენ ვიღებთ იმ უბედურებას, რომელიც ახლა ტრიალებს. ამიტომ ფუნდამენტური ცვლილებებია საჭირო. უნდა ჩამოვაყალიბოთ ისეთი პოლიტიკური სისტემა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც აღმოფხვრის უთანაბრობას ქვეყანაში. ვგულისხმობ იმას, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა გვყავს სიღატაკეში, ხოლო ოლიგარქია, მოსახლეობის 5%, ყველაფერს ფლობს.

– სოციალურ თანასწორობაზე ისაუბრეთ და როგორ უნდა მოხდეს ეს?

– ეს არის თანამედროვე ცივილიზაციასთან დაახლოება და ევროპული ღირებულებები. ევროპამ პროგრესს იქამდე ვერ მიაღწია, სანამ სოციალურ-პოლიტიკური სისტემები არ ჩამოაყალიბა.

– ამას სჭირდება ეკონომიკური განვითარება.

– შეუძლებელია ოლიგარქიის პირობებში ეკონომიკის განვითარება. მას სჭირდება მკაცრი რეგულირება. ამავე დროს, უნდა წახალისდნენ ის ადამიანები, რომლებიც უფლებრივი და ქონებრივი თვალსაზრისით მონებად არიან ქცეულნი. ისეთი ლიდერი ქვეყნის ეკონომიკაც კი, როგორც ამერიკაა, საშუალო და მცირე ბიზნესზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ საშუალო და მცირე ბიზნესი არ წავახალისეთ და განვითარების შესაძლებლობა არ მივეცით, ამ ქვეყნის ეკონომიკა წარმატებული არასდროს იქნება.

– წახალისება ყველა ხელისუფლების პირობებში გვესმის, მაგრამ დღემდე ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ეკონომიკა და სოციალური ფონი.

– კომპლექსური ღონისძიებებია საჭირო და არ იგულისხმება მხოლოდ საგადასახადო შეღავათები ან სახელმწიფოს მხრიდან „სტარტაპისათვის“ თანხის გამოყოფა. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მონოპოლიებს, რომლებიც დღეს ყველა სფეროშია შექმნილი და რომლებიც ხელთ უპყრიათ ხელისუფლებაში მყოფ ოლიგარქიულ ჯგუფებს.

ამავე დროს, ისეთი ცვლილებები და რეფორმები უნდა განხორციელდეს საგადასახადო, საბაჟო და საბანკო სფეროებში, რომლებიც დაიცავს ადგილობრივ მეწარმესა და ბაზარს, რათა მან არა მხოლოდ აქ შეძლოს პროდუქციის წარმოება, არამედ მისი რეალიზებაც და ხელოვნურად მოგუდული და წინასწარ განწირული არ იყოს.

მარტო 2012 წლიდან დღემდე 800.000 მოქალაქეა გაქცეული უცხოეთში, იმიტომ რომ ეს ქვეყანა მათთვის ციხედ და წარუმატებლობად იქცა. არა მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენას ვერ ახდენენ აქ, არამედ ოჯახის გადარჩენის პრობლემის წინაშე დგანან.

ჩვენ რისთვის გვინდოდა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა?! პირველ რიგში იმისთვის, რომ შეგვენარჩუნებინა ჩვენი იდენტობა, ენა, კულტურა, ტერიტორიები და, ამავე დროს, ადამიანები. მაშინ ვიყავით 5 მილიონი და დღეს 3 მილიონიც არ ვართ. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, გაქრობისა და გადაშენების წინაშე აღმოვჩნდეთ.

თუ აქ არ მოვიდა ხალხიდან წამოსული ძალა, რომელიც ამ ფუნდამენტურ რეფორმებს გაატარებს და სანამ არ მოხდება სოციალური თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მანამდე ყოფნა-არყოფნის პირობებში მოგვიწევს ბრძოლა.

– ისაუბრეთ პოლიტიკური სისტემის შეცვლაზე. მათ შორის ალბათ საარჩევნო სისტემის შეცვლა მაჟორიტარულ სისტემაზე საბოლოოდ უარი იგულისხმება.

– რა თქმა უნდა, უნდა გაუქმდეს. ეს სისტემა ანგლოსაქსურ ქვეყნებში მუშაობს, მაგრამ იქ სხვა პოლიტიკური გამოცდილება და სხვა დამოკიდებულებები გააჩნიათ. ჩვენთან მაჟორიტარები მინიოლიგარქებად ჩამოყალიბდნენ. ისინი ძირითადად გაქსუებული ოლიგარქიის წარმომადგენლები არიან. რომლებიც მხოლოდ იმიტომ არიან დაბუდებული უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომ საკუთარი ბიზნესი დაიცვან, გახადონ ის მონოპოლიური, ჰქონდეთ პრივილეგია.

– ოპოზიციამ ხელისუფლებას შესთავაზეთ გეგმა ამ თვალსაზრისით, თუმცა „ოცნება“ არ აპირებს, მიიღოს ოპოზიციის პოლიტიკური თამაშის წესებში მონაწილეობა. ამ ვითარებაში რა რესურსი გრჩებათ, გარდა რევოლუციური გზისა?

– მსხვილი, გადამპალი ბურჟუაზია არ დაუშვებს, რომ მისი ცვლილება მოხდეს. მუდმივად მიაჩნიათ, რომ ეს ქვეყანა მათი საკუთრებაა და, როგორც უნდათ, ისე უნდა მართონ და ძარცვონ, მაგრამ ამას საკუთარი ნებით არ გააკეთებენ. სერიოზული სახალხო მოძრაობა თუ არ დაიწყო, ისინი დათმობაზე არ წამოვლენ.

ამის ჩანასახი იყო და ამის გაგრძელება იქნება, რომელიც დიდ სახალხო მოძრაობად გადაიქცევა. ყვითელი ჟილეტების აქციამ, რომელიც ინსპირირებული იყო საფრანგეთში, გარკვეულ შედეგებს მიაღწია, სხვათა შორის, აქაც. ის აქცია რომ არა, შესაძლოა, გაზი გაძვირებულიყო. ასეთი მოძრაობები უნდა გაჩნდეს. ასეთი აქციები უნდა გაჩნდეს და გაძლიერდეს და საბოლოოდ საერთო-სახალხო მოძრაობად უნდა გადაიქცეს.

– სახალხო მოძრაობა ამ საკითხების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული თუ ხელისუფლების შეცვლაზეც?

– ყველაფერზე. საბოლოო ჯამში, მიზანი არა მხოლოდ არსებული ხელისუფლებისა და ოლიგარქიული სისტემის შეცვლაა, არამედ ფუნდამენტური ცვლილება უნდა მოხდეს. ვიმეორებ, ივანიშვილი ოლიგარქიის პიკია, პირამიდის სათავეა, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და რამაც უბედურება მოიტანა.

დაიმსხვრა ის მითი, მდიდარი ხელისუფლებაში რომ მოვა, ფულს არ მოიპარავს და დაარიგებსო. სანამ სამართლიანი და სოციალური თანასწორობის პრინციპზე დამყარებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა არ ჩამოყალიბდება, მანამდე ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, იქნება მხოლოდ სახეების ცვლილება, ანუ დეკორაციული ცვლილება. ამიტომ ფუნდამენტური ცვლილება უნდა მოხდეს. ეს შეუძლებელი იქნება ბრძოლისა და საერთო-სახალხო მოძრაობის გარეშე. ეს უნდა გავითავისოთ ძალიან კარგად.

რამინ ჯომიდავა: „წყლის მოვარდნის შემთხვევაში ენგურზეც იგივე რისკია, რაც 2 წლის წინ ვერეს ხეობაში მოხდა“

იაგო ნაცვლიშვილი

კომპანია „ჰერბის“ ხელმძღვანელი რამინ ჯომიდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ ორი პროექტის განხორციელების აუცილებლობაზე საუბრობს, რომლებიც მდინარე ენგურსა და შავ ზღვაზე უნდა განხორციელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფის რისკს ხედავს.

– გაქვთ პროექტი მდინარე ენგურთან დაკავშირებით. რა პრობლემები შეიქმნა მის განხორციელებასთან დაკავშირებით და რატომ არის აუცილებელი მისი განხორციელება?

– ჩვენ გაკეთებული გვაქვს პროექტი, რომელიც მოიცავს მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდას, რათა წყალმა იმოძრაოს. ავარიული გაშვებისას როდესაც ხდება წყლის მასის გაშვება, მაშინ წყალი მოძრაობს 400 კუბური მეტრი წამში სისწრაფით. ამ დროს წყალი ვერ გადის კალაპოტიდან და იტბორება ხალხი. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, რომ იყოს წყლის მოვარდნა, როგორც ეს ვერეს ხეობაში იყო 2 წლის წინ, ეს რომ მოხდეს იქაც, კატასტროფა მოხდება. ალბათ სამეგრელოს ჩარეცხავს, რადგან წყალს გასაშვები არ აქვს.

გაეროში არის დადგენილება, რომ პატარა კაშხალით დაწყებული და დიდით დამთავრებული, კალაპოტები უნდა გაიწმინდოს. გაეროს ამ დადგენილებას საქართველოც არის შეერთებული. დიდი წყალსაცავები, ისეთი, როგორც ენგურის წყალსაცავია, უნდა მოძრაობდეს მინიმუმ 2500 კუბური მეტრი წამში სისწრაფით. ეს მოთხოვნა არსებობს, ამიტომ ეს განიხილა ყველამ. მათ შორის სამინისტროებში, პარლამენტში. მას ყველამ მხარი დაუჭირა, მაგრამ მერე საკითხი წინ არ მიდის. ამიტომ გაუგებარია ეს მიდგომა. ტრაგედია უნდა მოხდეს, რომ მერე დავიწყოთ მუშაობა?! ურემი რომ გადატრიალდება, აი, ის ვარიანტია ასეთი მიდგომა.

– წყლის კალაპოტის გაწმენდაზეა საუბარი პროექტში თუ კალაპოტის შეცვლას ან გაფართოებას ითხოვთ?

– არსებული კალაპოტი უნდა გაიწმინდოს. იქ პატარა მდინარეებიც შემოდის, რომლებსაც შემოაქვთ ინერტული მასალა, მაგრამ ენგურს არ ჰყოფნის ძალა, რომ ეს ინერტული მასალა, ხრეში, ქვიშა, ლამი და ა.შ. გაიტანოს. ამოსაწმენდია, რათა წყალს მიეცეს საშუალება, რომ გავიდეს.

ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი. ეს უნდა გაკეთდეს უსაფრთხოების მიზნით. პლუს ამას საინტერესო ის არის, რომ ეს ინერტული მასალა მოხმარდეს საქმეს. ხრეში და ქვიშა მოხმარდება ნაპირდაცვით სამუშაოებს. რაც დარჩება, მისი რეალიზაცია მოხდება იმისათვის, რომ ამ პროგრამამ იმუშაოს, იმიტომ, რომ შემოვიყვანთ კომპანიას, რომელიც იმუშავებს, მაგრამ, მას თუ არ გადაუხადე, ეს პროექტი გაჩერდება. ჯერჯერობით სახელმწიფო ამაზე არც მუშაობს და არც აპირებს ამაში ფულის ჩადებას.

ამასთან ერთად, ქვიშასა და ხრეშში არსებობს ქიმიური შემადგენლობა ძალიან სერიოზული რაოდენობით, რომლის იქიდან გამოღებაც მოხდება გადამუშავების შედეგად. ის ქიმიური ნივთიერებები კი მოხმარდება ქვეყნის ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებას.

– ოკუპირებული აფხაზეთის დაინტერესე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რამინ ჯომიდავა: „წყლის მოვარდნის შემთხვევაში ენგურზეც იგივე რისკია, რაც 2 წლის წინ ვერეს ხეობაში მოხდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბაც არის ამ პროექტის მიმართ.

– დიახ, აფხაზების დაინტერესება არის, იმიტომ, რომ რაღაც ტერიტორია აფხაზეთის ტერიტორიაზეც არის, 12 კმ-ია. ჩვენ გვქონდა შეხვედრა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, ჩამოვიდნენ გალში და იყო შეხვედრა. სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. აფხაზებმა ამას კარგად აუღეს ალღო, დაინტერესდნენ. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ მისწერა გაეროს გენერალურ მდივანსა და ევროგაერთიანების პრეზიდენტ დონალდ ტუსკს, რომ ეს პროექტი მათთვის საინტერესოა და მზად არიან, მასში მიიღონ მონაწილეობა. მაგრამ ჩვენგან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია არც ერთი უწყების დონეზე.

– აღნიშნეთ, რომ ამ პროექტის მიმართ ინტერესი არ გამოიჩინა ქართულმა მხარემ და, პირიქით, დაინტერესდა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება. ეს ხომ არ არის



ეროვნული ინტერესების საზიანო?

– თუ ჩვენს პოლიტიკას დავუკვირდებით, რაც არის გაცხადებული, რომ აფხაზების ინტეგრირება გვინდა, მაშინ აფხაზებთან მიმართებით ამაზე უკეთესი პროექტი არ არის. რა თქმა უნდა, აფხაზებს ეს აინტერესებთ, მაგრამ, თუ მართლა გვინდა აფხაზების ინტეგრირება, ამ პროექტს უნდა მიეცეს რეალიზების საშუალება. მოხდებოდა მცირე რაოდენობით აფხაზების დასაქმება, მეორე საკითხია უკვე ის, რომ როდესაც ერთიანი ურთიერთობა და საქმიანობაა, მაშინ ყალიბდება რაღაცა დონის ურთიერთობის აღდგენა.

კი ბატონო, ჩვენ ავაშენეთ სავაჭრო ცენტრი, მაგრამ მოდიან?

– რუსეთიც ხომ არ არის ჩართული, ან ინტერესი ხომ არ აქვს, რომ რაღაცა ფორმით ჩაერთოს?

– რუსეთის მხრიდან იყო დაინტერესება. ეს გამოითქვა 2007 წელს, როდესაც სოჭში ოლიმპიადა უნდა ჩატარებულიყო და ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად მათ სჭირდებოდათ ინერტული მასალა. მაშინ აფხაზეთის ტერიტორიიდან, მდინარე ენგურიდან ამოიღეს, რაც არ შეიძლებოდა.

მათ გამოთქვეს დაინტერესება პროექტის მიმართ, მაგრამ მერე მოხდა ომი და შეწყდა.

– წყალბადის მოპოვებაზეც გაქვთ პროექტი. ამასთან დაკავშირებით რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?

– ეს არის მეორე პროექტი. წყალბადი უკვე არა მდინარე ენგურზე, არამედ შავ ზღვაში მოიპოვება და იქიდან უნდა მოხდეს წყალბადის ამოღება. ახლა მიმდინარეობს ამ პროექტის დამუშავება.

საქართველო არც ამ პროექტის მიმართ არ იჩენს არავითარ ინტერესს. გერმანელები დაინტერესდნენ, რომლებიც კანცლერის დავალებით მოქმედებდნენ და უცხოეთში რამდენიმე ორგანიზაციაში ეს საკითხი განიხილებოდა. გამოირკვა პარტნიორი, რომელიც მზად იქნება ამ პროექტის გასაგრძელებლად.

ჩვენ ახლა ძიებაში ვართ, უნდა მოვძებნოთ პარტნიორები გერმანიაში, რადგან გერმანია ფულს ჩვენ კი არ გვაძლევს, არამედ გერმანულ ორგანიზაციას, რომელიც პროექტს ჩვენთან ერთად გააკეთებენ. ეს პროექტი იმ დონემდეა, რომ ახლა გვჭირდება დახმარება, რათა ბოლომდე მივიყვანოთ.

– წყალბადის გამოყენებისა და მისი რეალიზაციისთვის არის საინტერესო ამ პროექტის განხორციელება თუ სხვა მიზეზიც არსებობს?

– ზღვას თავისი პრობლემები აქვს. ზღვის მასა, დაახლოებით 93%, პრაქტიკულად, მკვდარია. ამას გარდა, ყოველთვის იწევს და ამოდის, ყოველწლიურად ამ გოგირდწყალბადის ნამატის მასა შეადგენს 75-80 მილიონ ტონას.

ეს მასა რაღაცა ადგილს იკავებს ზღვაში. არსებობს საშიშროება, რომ გამეორდეს ტრაგედია, რომელიც 1927 წელს ყირიმის მიწისძვრის შედეგად იყო და 2 კილომეტრის სიგრძისა და 700-800 მეტრის რადიუსზე ამოვიდა ეს მასა.

მაშინ ის 400 მეტრის სიღრმეში იყო, ამიტომ წყალმა გადაფარა ის, ახლა 80-100 მეტრ სიღრმეზეა. ასე რომ, როგორი დონის კატაკლიზმის რისკია, ამის თქმა ძნელია. მაღალი რისკია, თუ მისი რაღაც ფორმით ნეიტრალიზაცია არ მოხდა.

რატომ დაუპირისპირდა მეუფე იაკობი გიორგი გახარიას

შორენა მარსაგიშვილი

მრავლისმნახველი ქართველი ერი საახალწლო ზეიმებს მალე დაემშვიდობება. საერო და საეკლესიო ხელისუფლებებში ისეთი ამბები ტრიალებს, ამას გულგრილად ვერავინ შეხედავს.

ეკლესიაში ყველაფერი რიგზე რომ არ არის, ეს ციანიდის საქმემაც გამოაჩინა. სინოდის ბოლო სხდომაზე კი, რომელიც მიმდინარე წლის 27 დეკემბერს გაიმართა, ეკლესიაში არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა.

მღვდელმთავრების ერთმანეთთან ქიშპი საქართველოში აღარ უკვირთ, მაგრამ პირველად მოხდა, რომ მიტროპოლიტი საჯაროდ დაუპირისპირდა პატრიარქს. 28 დეკემბერს ტვ პირველის ეთერში საუბრისას მეუფე პეტრემ განაცხადა, რომ მისთვის ილია II აღარ არის მწყემსი კეთილი.

ამ განცხადების გამო მას მკვეთრად დაუპირისპირდა ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი. პატრიარქის ქორეპისკოპოსი ამბობს, რომ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე ეკლესიაში ავტორიტეტს არ წარმოადგენს.

– თვითონ ხომ უნდა იცოდეს, შიგნით რა ავტორიტეტია, რა. ახლა, თუ ნაციონალურ მოძრაობაში ავტორიტეტია, ეს სხვა რაღაცაა, მაგრამ ჩვენთან მაგი ხო რაღაც ავტორიტეტი უნდა იყოს, ხო? აბსოლუტურად არაა ავტორიტეტი ჩვენთან, – განაცხადა ტვ პირველისთვის მიცემულ ინტერვიუში ქორეპისკოპოსმა იაკობმა.

ბოდბელმა ეპისკოპოსმა ასევე თქვა, რომ მეუფე პეტრეს გასაკეთებელს გაუკეთებს. თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობდა გასაკეთებლის გაკეთებაში.

– მე, შეიძლება, პირადად რაღაც გავუკეთო. ახლა არ ვილაპარაკებ, მაგრამ გასაკეთებელს გავუკეთებ. არ ვაპატიებ არავის ჩემი პატრიარქის ღირსების შელახვას, ვინც არ უნდა იყოს, – აღნიშნა ბოდბელმა ეპისკოპოსმა.

მისი თქმით, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მიერ გაკეთებული განცხადება რუსეთიდან არის ნაკარნახევი.

– ვფიქრობ, რუსების შემოთავაზება არის, რომ ჩვენი ეკლესია დააკნინონ, პატრიარქს დაარტყან, იმას დაარტყან. მე არც რუსეთი მაინტერესებს, არც კონსტანტინოპოლი, პირდაპირ გეტყვით, ქართველი ვარ და ჩემი საქართველოს ეკლესიის ინტერესი მაინტერესებს, – ამბობს პატრიარქის ქორეპისკოპოსი.

ჟურნალისტის კითხვაზე, შეიძლება თუ არა, მეუფე პეტრეს სასულიერო სტატუსი ჩამოერთვას, პატრიარქის ქორეპისკოპოსმა უპასუხა, რომ ეს მეუფე პეტრეზეა დამოკიდებული.

– როგორც იქცევა, თუ არ შეინანა... ბასილ მკალავიშვილი უფრო პატიოსანი კაცია, ვიდრე მაგი, როგორც იქცევა, პირდაპირ გეუბნებით, მე ვიქნები ის ადამიანი, რომელიც არ დაუშვებს, რომ ვიღაცებმა „გააპრავონ“ მაგი, რა, ეკლესიაში მე სიტყვა მეთქმის. თუ მოვინდომე, გავაკეთებ იმას, რაც გასაკეთებელია, რა, რომ იცოდეთ, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

მეუფე პეტრეს გარდა, პატრიარქის ქორეპისკოპოსმა შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარიაც გააკრიტიკა.

მან პირდაპირ თქვა, რომ გახარიასთან ნორმალური ურთიერთობა არ აქვს. რას უკავშირდება მათ შორის არსებული უთანხმოება, ბოდბელი ეპისკოპოსი არ აკონკრეტებს.

ამბობს, რომ გახარია მოსკოვის კაცია. მოსკოვი მეუფეს გულზე არ ეხატება, თუმცა მათ შორის უთანხმოების მიზეზი კრემლი არ უნდა იყოს.

– არ არის ასეთი რაღაცა, ვიღაცას რაღაც ვაპატიო, თუ საპატიებელი არაა. მე ახლა კანონპროექტზე არ გეუბნებით, სხვა რამეა, რა თქმა უნდა, იცის თვითონ. კანონპროექტი არაფერი არაა იმასთან შედარებით, რასაც აპირებდა. ხელმძღვანელობამ რომ გაუგოს, ალბათ, მოიშორებენ. გახარია ჩვეულებრივი მოსკოვის კაცია ჩემთვის, – განაცხადა ბოდბელმა ეპისკოპოსმა.

ყველაზე გავლენიანი მღვდელმთავარი ამბობს, რომ თუ გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრად დანიშნავენ, მთავრობას ეკლესიასთან სერიოზული პრობლემები შეექმნება.

– თუ რამე წინსვლა დაიწყო ზემოთ, ჩამოვაგდებ... თვითონ შეხედოს, გახდება თუ ვერ გახდება (პრემიერ-მინისტრი)... ვერ გახდება. თუ მაგი გახდა, ეკლესიასთან მთავრობას დიდი პრობლემა ექნება, – დადო პირობა მღვდელმთავარმა.

გახარიასა და მეუფე იაკობს შორის დაპირისპირების რამდენიმე მიზეზი სახელდება. ხელისუფლებასთან დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ გავლენიანი სასულიერო და საერო პირების დაპირისპირების მიზეზი, შესაძლოა, არჩევნების წინ გავრცელებული ინფორმაციაა.

ალბათ ყველას გახსოვთ, რომ არჩევნების წინ მღვდელმთავრები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ სალომე ზურაბიშვილს, საარჩევნოდ კი საერთოდ გაჩერდნენ. პირველი ტურის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შსს მღვდელმთავრებზე კომპრომატებს აგროვებდა.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ეს ინფორმაცია სუსის რამდენიმე თანამშრომელმა გაავრცელა. ამ ინფორმაციის გავრცელებას გახარიას აქტიურობა დაემთხვა. მან ერთმანეთის მიყოლებით მოინახულა რამდენიმე მღვდელმთავარი, მათ შორის პატრიარქის მოსაყდრე შიო და რუისურბნისის მეუფე იობი.

როგორც ამბობენ, გახარია შეეცადა, მღვდელმთავრებისთვის დაემტკიცებინა, რომ ის კომპრომატებს არ აგროვებს.

ოთარ ანგურიძე: „პენსიების 20 ლარით ზრდა ლარს არ გააუფასურებს“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ ეკონომიკურ პროცესებზე საუბრობს, რომლებიც 2018 წელს იყო მნიშვნელოვანი.

– ბატონო ოთარ, როგორ შეაფასებთ ეკონომიკური თვალსაზრისით გასულ წელს?

– 2018 წელი იყო სავსე როგორც გამოწვევებით, ასევე, წინ გადადგმული ნაბიჯებითაც. წინ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია, საფინანსო სექტორში რეგულირების ნაწილში რაც გაკეთდა.

მეორე, რასაც გამოვყოფდი 600 ათას ადამიანს გაუნულდა სესხები და ისინი ე.წ. შავ სიაში აღარ არიან. შესაბამისად, ამ ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, რომ აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ ცხოვრებაში.

– წინასაარჩევნო ჭრილში იყო ეს ინიციატივა განხილული. თუმცა, პოლიტიკას თავი რომ დავანებოთ, ეკონომიკისთვის რა შედეგის მომტანი იქნება?

– მხოლოდ პოზიტიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკაზე. ეს ადამიანები, რომლებიც იყვნენ ე.წ. შავ სიაში, მოკლებულნი იყვნენ ზოგადად ეკონომიკურ პროცესს. ამიტომ, როდესაც მათზე შეზღუდვები არ იქნება, ისინი აქტიურად ჩაერთვებიან ეკონომიკაში. საბოლოოდ ეს ფაქტი პოზიტიურ გავლენას მოახდენს მომავალი წლის ეკონომიკურ ზრდაზე.

ეს პრეცედენტი მხოლოდ საქართველოში არ ყოფილა. მსგავსი ინიციატივა სხვადასხვა განვითარებულ სახელმწიფოშიც იყო. ზოგ შემთხვევაში თავად ბანკებმა გადადგეს სოციალური ნაბიჯი და ეს წნეხი მოუხსნეს. იყო შემთხვევები, როდესაც მთავრობამ გამოისყიდა საფინანსო სექტორიდან ამ ადამიანების საბანკო ვალდებულებები.

ჩვენ ისედაც მცირერიცხოვანი მოსახლეობა ვართ და წარმოიდგინეთ, რომ აქედან 600 ათასი ადამიანი მოკლებული იყო, რომ ეკონომიკურ პროცესში ჩართულიყო. ეს ნამდვილად იყო ეკონომიკური განვითარების სერიოზული მუხრუჭი.

– მსხვილ ეკონომიკურ პროექტს რომელს გამოყოფდით?

– მსხვილი ეკონომიკური პროექტი ისევ და ისევ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტია, რომელიც წელს აქტიურ ფაზაში შევიდა. ეს პროექტი იქნება მომავალ წელსაც ყველაზე მსხვილი და მნიშვნელოვანი პროექტი. რაც უფრო აქტიურ ფაზაში შევა, ამ პროექტის მნიშვნელობა ერთიორად გაიზრდება.

– წელს ლარის ინფლაციამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. რა არის ლარის დევალვაციის მთავარი ფაქტორი?

– ლარის ასეთი რყევის მიზეზი მხოლოდ ერთი არ არის და ეს რამდენიმეა. ჩვენ არ ვიცით, რა ტიპის გარიგებები იდება და ყალიბდება ყოველდღიურად.

იმედს ვიტოვებ, რომ ამ მიმართულებით გარკვეული სახის სამუშაოები მიმდინარეობს, რომ ლარის კურსის მიმართ საზოგადოებაში არსებულ კითხვებს პასუხი გაეცეს.

იმისთვის, რომ ლარის კურსთან დაკავშირებით სრულყოფილი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა გვქონდეს, აუცილებელია, გვქონდეს ინფორმაცია, თუ რა მოცულობის გარიგება დაიდო და რა მოცულობის თანხამ განსაზღვრა ლარის კურსი.

ეროვნულ ბანკსაც და მთავრობასაც მართებს, რომ პროცესი გამჭვირვალე გახადოს. ღიაობა და გამჭვირვალობა აუცილებელია. ეროვნული ბანკი უნდა გადავიდეს ღიაობის პრინციპზე და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გამოიტანოს საზოგადოების წინაშე.

– კონკრეტულად?

– მათ შორის ანგარიშების ნაწილში, მათ შორის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის გამოქვეყნების ნაწილში. უკვე 8 წელია, რაც არ გამოქვეყნებულა. ძალიან ბევრია ამ მიმართულებით გასაკეთებელი.

პრობლემა ის კი არ არის, რომ ლარი უფასურდება, პრობლემა არის ის, რომ კურსი უნდა იყოს პროგნოზირებადი. პრობლემა არის ის, რომ ბიზნესი ვერ აკეთებს დასკვნებს კურსთან დაკავშირებით. ეკონომიკა, საფინანსო სექტორი სტაბილური რომ იყოს, ამისთვის აუცილებელია, კურსი იყოს პროგნოზირებადი, რათა მოქალაქემ, ბიზნესმა წინასწარ განსაზღვროს ის რისკები, რომლებიც შეიძლება, მას შეექმნას. დღეს ჩვენ გვაქვს ქაოსი. ამ ქაოსს დალაგება და დარეგულირება სჭირდება.

– იანვარში 20 ლარით იზრდება პენსიები, ეს რა გავლენას იქონიებს ლარის კურსზე, გაუფასურებას ხომ არ გამოიწვევს?

– თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მიმდინარე წლის ეკონომიკურმა ზრდამ საპროგნოზო მაჩვენებელს გადააჭარბა, ასევე შემოსავლებმა გადააჭარბა საპროგნოზო მაჩვენებლებს, გაზრდილი ეკონომიკა იძლევა იმის საფუძველს, რომ ეკონომიკაში ჩაეშვას დამატებითი თანხები შესაბამისი პროპორციებით. ამდენად, გაზრდილი 20 ლარი არ წარმოადგენს იმ თანხას, რომ რაიმე ნეგატიური გავლენა მოახდინოს ან ინფლაციაზე, ან ლარის კურსზე. ამ რისკს გამოვრიცხავ.

– ეკონომიკის მინისტრმა ქობულიამ განაცხადა, რომ ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მაგრამ ადამიანები ამას ვერ გრძნობენ. ეს როგორ ხდება?

– ეკონომიკურ ზრდაზე როდესაც ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქეს თანაბრად შეეხება ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდა პირველ რიგში ვლინდება სახელმწიფო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში – ეს არის ინვესტიციები, საგარეო ვაჭრობა, შემოსავლები და ა.შ.

– ეკონომიკის ზრდა ხომ უნდა იგრძნონ მოქალაქეებმა, განყენებულად ხომ არ ხდება ეს?

– ისინი ირიბად იგრძნობენ. მაგალითად, ამ ეკონომიკური ზრდის შედეგი არის ის 20 ლარი, რომელიც იანვრიდან პენსიონერებს დაემატებათ. თუ ჩვენ გვინდა, როგორც სახელმწიფოს, რომ ყველა ადამიანმა იგრძნოს ეს ეკონომიკური სიკეთეები, მაშინ უნდა მოხდეს რეგიონული განვითარება, ინკლუზიური განვითარება, რომელზეც ეს ხელისუფლება დიდი ხანია საუბრობს. თუმცა, ამ მიმართულებით დიდი პროგრესი არ გვაქვს.

ოლეგ ოსინოვსკი: „კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ მთავრობამ სწრაფად და ზუსტად უპასუხოს ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევებს“

– რჩევა, რომელიც შემიძლია საქართველოს მთავრობას მივცე, არის ის, რომ განაგრძოს აქტიური მუშაობა ახალი ინვესტორების და არსებულების დაინტერესების მიმართულებით. ამაყი ვარ, რომ მონაწილეობა მივიღე ესტონური საგადასახადო მოდელის შემუშავების პროცესში. ვფიქრობ, კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ მთავრობამ უფრო სწრაფად და ზუსტად უპასუხოს ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევებს, – ასეთია თბილისი ჰილს გოლფ & რეზიდენციების მთავარი ინვესტორი და AS Skinest Group ის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის ოლეგ ოსინოვსკის რჩევა საქართველოს ხელისუფლებისადმი.

ესტონელი ბიზნესმენი „კომერსანტთან“ 2018 წლის შედეგებსაც აფასებს.

– საქართველო წარმატებით გადის განვითარების ახალ ეტაპს, თუმცა ქვეყანაში ბიზნესის წარმოების კუთხით, კიდევ უფრო მეტია სამუშაო საერთაშორისო მაღალხარისხიანი ინვესტორების დაინტერესებისა და შენარჩუნების კუთხით. გამკაცრებული რეგულაციები, კომუნიკაციის ნაკლებობა და ბიუროკრატიის არსებობა, ბიზნესის წარმოებას გარკვეულწილად აფერხებს, თუმცა საქართველოს საინვესტიციო სააგენტოების დროული გადაწყვეტილებები და უცხოელი ინვესტორების მიმართ სასამართლო სისტემის ობიექტურობა არსებულ ბარიერებს ამცირებს.

ამასთან, ქვეყანაში უძრავი ქონების ბაზრის დინამიკა დადებითია. ამ მიმართულებით ტენდენცია პოზიტიურია და გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთებაც შეიძლება. აქედან გამომდინარე, საქართველოში მრავალფეროვანი ინვესტიციების ჩადება და რისკებზე წასვლა მაინც გამართლებულად მიმაჩნია, – აღნიშნავს ოლეგ ოსინოვსკი.

როგორც ინვესტორი აცხადებს, 2018 წელი გარდამტეხი იყო თბილისი ჰილს გოლფ ენდ რეზიდენციის პროექტისთვის და მასზე მომუშავე გუნდისთვისაც.

– პროექტი შედება პირველი საერთაშორისო პროფესიონალური გოლფის მოედნებისგან და პრემიუმ ხარისხის საცხოვრებელი ტერიტორიისგან. აღსანიშნავია, რომ პროექტის დასრულებისას მასში განხორციელებული ინვესტიცია, რომელიც 100%-ით ევროპულია ერთ მილიარდ ევროს გაუტოლდება. 2018 წლის მეორე ნახევარში, დავიწყეთ სექტორი ჩ-ს გაყიდვა, საცხოვრებელი მიზნებისათვის, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. შეთავაზებული მიწის ნაკვეთების 30% გაიყიდა ან დარეზერვდა. რაც შეეხება საქართველოში ჩემს სხვა ბიზნესაქტივობებს, სარკინგზო გადაზიდვების კომპანია სკინესტ ჯორჯიასა და მცირე ზომის ჰესებს, ორივე მიმართულება სტაბილური მოგების ფაზაში შევიდა. სახმელეთო გადაზიდვები და მცირე ზომის ჰესების განსაკუთრები საინტერესო სფეროა საქართველოში, რადგან ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა და მოთხოვნა საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობაზე ყოველდღიურად უფრო აქტუალური თემა ხდება, – ამბობს თბილისი ჰილს გოლფ & რეზიდენციების მთავარი ინვესტორი და AS Skinest Group ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

თბილისში საბავშვო ბაღებში კვებაზე 38 მილიონი დაიხარჯება

თბილისში საბავშვო ბაღების კვებითი მომსახურებაზე კომპანია „ნილი“ იზრუნებს.

კომპანია თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული 2 ტენდერის გამარჯვებულია და მასთან ხელშეკრულების გაფორმება მიმდინარეობს. ჯამში ამ მიზნით 38.1 მლნ ლარი დაიხარჯება.

კომპანიამ 2019 წელს მუნიციპალურ ბაღებს წინასწარ დადგენილი ხარისხის პროდუქტები უნდა მიაწოდოს.

წელს თბილისის საბავშვო ბაღებში კვებითი მომსახურება მერიას 33.93 მილიონი დაუჯდა. კონტრაქტორი ასევე კომპანია „ნილი“ იყო.

GBCGE

უწყებათაშორისმა კომისიამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარეობით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის მეორე სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებმა

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.

სხდომა კომისიის თავმჯდომარემ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძემ გახსნა. მან მიმოიხილა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სტრატეგია, მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი და მადლობა გადაუხადა უწყებებს შესრულებული სამუშაოსათვის. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში უწყებათაშორის თანამშრომლობაზე. საუბარი ასევე შეეხო კომისიის საქმიანობისა და უფლებამოსილების საკითხებს. სხდომის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება კომისიის სამდივნოს კოორდინაციით, შესაბამისი უწყებათაშორისი თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია დამტკიცების შემდეგ იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. დოკუმენტში წარმოდგენილია ტერორიზმისა და ექსტრემიზმის კუთხით ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები, ასევე მათთან გამკლავების მიმართულებით სახელმწიფოს ერთიანი ხედვა, მისი მიზნები და ამოცანები. სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო უწყებების მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ტერორიზმთან, ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, ასევე კონტრტერორისტული ხედვის ფარგლებში უპირატესობა ენიჭება პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისია საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა და მისი მიზანია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების მინიმუმამდე შემცირება და პრევენცია, ასევე, სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა.

ახალი წელი გახდება განვითარების წელიო, რადგან მეკვლეა სალომე, აღორძინებას ველიო

გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია, რომ რუსთაველს დაბადების 850 წლისთავის აღსანიშნავად ვუძღვნი მოკრძალებულ საჩუქარს – 850-სტრიქონიან ლექსს, რომლის 555 სტრიქონი 4 ნაწილად გამოქვეყნდა.

ამჟამად გთავაზობთ მე-5 ნაწილს. მთლიანობაში 654 სტრიქონს. დანარჩენს კი სრულად თებერვალში წიგნის სახით შემოგთავაზებთ.

წიგნს ვასათაურებ უცნაური სათაურით და შეიძლება გამოვიდეს გასაოცარიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ, შემიფასოთ როგორც წინამდებარე, ასევე გამოქვეყნებული ლექსები (სრულად მასალას შეგიძლიათ გაეცნოთ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საიტზე – „ფიქრები საქართველოზე, ვაზზე, რუსთაველზე“), იმ მიზნით, რომ გადავწყვიტო, ჩაფიქრებული სათაური დავტოვო თუ არა. (599 10 43 18). მით უმეტეს, ვაპირებ წიგნის დაბეჭდვას იმდენივე ენაზე, რამდენ ენაზეც „ვეფხისტყაოსანია“ ნათარგმნი.

აქვე აღვნიშნავ – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ წინამდებარე ლექსში შეგნებულად ბრჭყალებში არაა ლექსის არსიდან გამომდინარე.

ღმერთო, ღმერთო, გევედრები, სიბოროტე ყველას სძულდეს,
ავსა სისხლი დაუწმინდდეს, რომ სიავე დაუსრულდეს,
ქველსა დარდი შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს,
კაცსა კარგი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს.

წყლული უმალ დაგვიამდეს, სიხარულში გადავიდეს,
გადახვეწილი ქართველი ქართულ მიწაზე მოვიდეს,
ბარაქა და გამრავლება ოჯახს ჭარბად მოუვიდეს,
კაი ყველა წინ წავიდეს, სვიან მწვერვალზე ავიდეს.

აზრებს ვეძებ იმდაგვარსა, ლექსის წყობა დაამშვენოს,
გულმა უკეთ რომ იფეთქოს, და სიამე მოგვაფინოს,
ნიჭმა ლაღად ინავარდოს, რომ სამშობლოს სული ფურჩქნოს,
და გონებამ საქართველო აძლიეროს და ალხინოს.

ვაზო უკვდავო, შენა ხარ დაუჭკნობელი სიცოცხლე,
შენ საქართველოს ადიდებ, შენსა ყოფნამდე მიცოცხლე,
ვაზის და ღვინის სამშობლოს რქა სამამულე უცოცხლე,
ამ სიკეთისთვის, ღვინოხევ, სულ გასახარად იცოცხლე.

ფურჩვნა-ახვევა ძნელია, თუ ჯიში საფერავია,
სამაგიეროდ, ღვინოხე ადვილი საკრეფავია,
ვაზის ტირილშიც ვენახი საამო სანახავია,
მევენახისა მარჯვენა დაუცხრომელი მკლავია.

ჯაფადამდგარო მკლავებო, სიხარულისთვის იღვიძე,
მწადის ასევე გვემრავლოს სახელოვანი ბევრი ძე,
ვითა ილია, აკაკი, ვაჟა, ბიძინა, ტაბიძე,
ესაა ჩემი მიზანი და გვარადა ვარ ქვლივიძე.

ბევრი ვიფიქრე, რუსთველო, სიკეთით, არა ჯავრითა,
უკვდავად როგორ იქეცი აყვავებული გვარითა?
ვხსენი და მაინც ამოვხსენ რიგებში ვაზთა ჯარითა,
დალოცვილი ხარ ღვთისაგან! ნინოს ვაზისა ჯვარითა.

რა დედამ გშობა ასეთი, დაუჭკნობელო ქართველო,
ვხსენი და ვერ ამოვხსენი, დიდსულოვანო რუსთველო,
მხოლოდ იმასა მივაგენ, სიტყვის ოსტატთა მამრთველო,
სახიერდები ცოცხლადა, პოეზიისა მმართველო.

მამაც, გავიგე მგოსანო, გყოლია გასაოცარი,
დიდ ბასიანის რაინდი, ქართველ სპათ დასაფიცარი,
სამშობლოს მოსიყვარულე, მისი გულისა ფიცარი,
სისხლში ბადაგიც გდგომიათ, ბადაგის არსიც ეს არი.

კვალსა გონებით გავყევი, მადლობელი ვარ თავისა,
თან გამოვნახე ამინდი საუკეთესო თესვისა,
ვარსკვლავ მაგვარი ძმაც ვპოვე შენი და არა სხვაისა,
ძმად ნაფიცი ხარ ვაზისა, დაუჭკნობელი ფესვისა.

– ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის, ცხოვრების შინაარსია.
ამაყად დავძენ, ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია.

შემწამლე, პაპავ, დროულად, ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა დაგვიდგეს ბარაქიანი რთველიო,
ახალი წელი გახდება განვითარების წელიო,
რადგან მეკვლეა სალომე, აღორძინებას ველიო.

– რუსთაველო, გაგიბედავ, ვისაუბროთ კვლავ მამულზე,
მომავალმა რომ ილხინოს, იამაყოს დღეის ხნულზე,
– მაგას რა სჯობს, ვიშაიროთ უღწეველზე, მიღწეულზე,
მაგრამ ნაყოფს მწარედ მოვწყვეტ სოფლის წყლულზე დაფარულზე.

მწუხარეა დღეს ქვეყანა, ბევრი სოფელი ქვავდება,
ეს რომ თამარმა იხილოს, ცრემლისა დენით მოკვდება,
რადგან მას დღესაც ჰგონია, სამშობლო კვლავაც ყვავდება,
და ამჟამადაც თამარი ამ მიზნებითა კავდება.

დღეს რომ სოფლები იცლება, ესაა უბედურობა,
ამის მიზეზი ერთია – მძლავრობდა დაუდევრობა,
ჭირსა ტკივილით ვაჟღერებ, არაა აქა ხუმრობა,
მჯერა, სატკივარს გააქრობს ქართულ ოცნების მთავრობა.

ავახმიანოთ მამული სიახლეებით მორთული,
ნეტარებისკენ გავწიოთ სამშობლო ვაზით გართული,
სამოთხის ბაღად ვაქციოთ ეს მიწა-წყალი ქართული,
საამო არის სასმელად ღვინო ქვევრისა განთქმული.

ბრძნული აზრები ვაღვივოთ, ნაცადი დავითიანი,
ავაღორძინოთ სოფლები სვიანი, ბადაგიანი,
ვაზრობ, ჟამს ოქროს ხანასა, რომ იყო ბარაქიანი,
წალკოტად აბიბინდება მიწა ქართული მთლიანი.

სოფელი მუდამ ყვაოდეს და არა უძნელდებოდეს,
გავაძლიეროთ კომლები, ვიდრემდის დაიცლებოდეს,
ავაკიაფოთ დარგები, რაც სოფელს მოუხდებოდეს,
რომ თვის მამულში ვაჟკაცსა სალხინოდ უთენდებოდეს

მთელი მსოფლიო ვიარე, წიგნები ყველგან დავაწყე,
მტერი მოყვარედ გარდავქმენ, საკეთილდღეოდ განვაწყე,
ეს ყველაფერი რუსთველმა მოხერხებულად ავაწყე,
გულის სახარად მხცოვანმა თქვენს გასახარად ჩავაწყე.

ჭაპანს ვეწევი ღირსეულს რვაასზე მეტი წელია,
ჩემი ამაგი ამ ქვეყნად სახელგანთქმული რთველია,
ქველს უფალი ნიჭით ამკობს, კაი და სანუკველია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

– ამაღლებულად ვიუბნოთ მამულის გადასარჩენად,
საქმით ვაქციოთ ზრახვები გეზისა გამოსაჩენად,
ტრიუმფისათვის გავლეწოთ სიცოცხლე ქვეყნის სარჩენად,
თუ ვერას ვიზამთ, დავრჩებით მტრებისა გამოსარჩენად.

ღმერთმა არა ქნას, რომ გავხდეთ სხვა ტომის შთამომავალი,
თორემ დიდგორსაც შეარცხვენს ჩვენი თაობა მავალი,
მიზნად ავიღოთ სუყველამ გზა სამოთხისკენ სავალი,
ხვალის თაობას გადავცეთ სამშობლო წინ მიმავალი.

ვით მზე ყოველდღე ყოველსა სულ საამურად გვახარებს,
ვით შემოქმედი ნაშრომსა გულგასახარად ამთავრებს,
ვაზის ფესვები მიწაში წიაღსაც ასე ახარებს,
სმა-პურობისას მუდამჟამს ღვინის სმა მეცა მახარებს.

კაცსა ღირსება თანა სდევს, იქით წავა და წაჰყვება,
მოტრიალდება, მოჰყვება, აჩრდილივითა დაჰყვება,
მიწაში ჩავა, უკლებლივ სულ სამარეში ჩაჰყვება,
სამუდამოდ კი სახელი წუთისოფლიდან გაჰყვება.

სიბერემ დამიკაკუნა, ხალისი სწრაფად მოთავდა,
ბევრი რამ გამოვიგონე, სიახლე გულს მიხატავდა,
ჩემი მარჯვენა ციმბირშიც დაგრეხილ ვაზებს ხატავდა,
არ მეგონა, თუ ვაზები დღეს ამ ლექსს მომიხატავდა.

სულიერად რომ ავმაღლდეთ, ვით უკვდავი რუსთაველი,
განვადიდოთ კაცის ნიჭი სანატრელი საკვირველი,
აყვავების გადმწყვეტი, ქვეყნისათვის საძირკველი,
სხვა რა არის ყოფნის არსი, თუ სოფელსაც ვერ უშველი!?

თამაზ ქვლივიძე

მარიამ მჭედლიშვილი

რომელი სახელმწიფოების ინტერესები ეჯახება ერთმანეთს რეგიონში?

2018 წლის მიწურულს საქართველოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ვითარებას ემატება ურთულესი სიტუაცია რეგიონში.

საქართველოს პარტნიორ და მეზობელ აზერბაიჯანში ფინალს მიუახლოვდა ჯაშუშების სკანდალი. სახელმწიფოს ღალატის მუხლით იქ დააკავეს ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს სამი ყოფილი თანამშრომელი. მათ ბრალად ედებათ ჯაშუშური ქსელის შექმნა. ოფიციალური ვერსიით, ისინი ირანის სასარგებლოდ მუშაობდნენ. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ უშიშროების ყოფილი მუშაკები რუსეთის ინტერესებს ატარებდნენ.

ირანი აზერბაიჯანში ოც წელიწადზე მეტია აქტიურობს და ამ ქვეყნის ტერიტორიას იყენებს სადაზვერვო საქმიანობისათვის ასევე მესამე ქვეყნების წინააღმდეგ. საუბარია იმ ქვეყნებზე, რომლებიც არ არიან ირანის მოკავშირეები. შესაძლოა, ამ ქვეყნების რიცხვში საქართველოც იყოს.

ირანზე მომუშავე სამი აზერბაიჯანელის დაკავებით ირანული ქსელის მოსპობაზე ლაპარაკი არარეალურია, ვინაიდან ირანი დიდი ხანია, ცდილობს გავლენის მოპოვებას საზოგადოებრივ და რელიგიურ ჯგუფებში, ასევე – პოლიტიკურ პარტიებში.

როგორც ჩანს, თეირანი თავის აქტიურობას კავკასიაში არც მომავალში შეწყვეტს. თურქეთთან კი იგი, შესაძლოა, ყველა საკითხზე ვერ შეთანხმდეს.

ირანი და თურქეთი, ტრადიციულად, რეგიონში ერთმანეთის კონკურენტებად ითვლებიან. ისინი ბოლო წლებში დაახლოვდნენ, როცა რუსეთთან ერთად მუშაობდნენ სირიის მრავალრიცხოვანი პრობლემების გადაწყვეტაზე.

დასავლელი ექსპერტები ალაპარაკდნენ ანკარის დაბრუნებაზე ამერიკულ ორბიტაზე.

ამას ხელი შეუწყო ამერიკული სამხედრო კონტინგენტის სირიიდან გაყვანის გადაწყვეტილებამ. ექსპერტების დასკვნით, ქურთთა სახალხო თავდაცვის რაზმების დახმარებაზე უარის თქმითა და თურქეთისათვის „პეტრიოტის“ რეკეტების მიწოდების გადაწყვეტილებით თურქეთი ისევ აშშ-ის მტკიცე მოკავშირე ხდება. თურქეთის საზღვართან უკვე გამორიცხულია ქურთისტანის შექმნა, რისიც თურქეთს ეშინოდა.

ვაშინგტონი ანკარას თეირანის შესაკავებლად გამოიყენებს. თურქეთი ძველებურად ვეღარ ითანამშრომლებს ირანთან. არადა, ანკარას უნდა, რომ, სანქციების მიუხედავად, მაინც ჰქონდეს ირანთან ვაჭრობა, თუნდაც, ნავთობის სფეროში.

დიდი ალბათობით, აზერბაიჯანი კვლავინდებურად დარჩება თურქეთის უახლოეს სტრატეგიულ პარტნიორად, რაც მას დააახლოებს ვაშინგტონთან.

სომხეთში წელს მომხდარი რევოლუციური ძვრების შედეგად ბევრი რამ იცვლება. ამ დღეებში პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლ პაშინიანი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა.

მხარეები გაზის ფასზე ვერ შეთანხმდნენ. ამ საკითხზე მოლაპარაკებები გაგრძელდება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პუტინი სომხეთის ახალ ხელისუფლებას რუსეთის პარტნიორად არ მიიჩნევს.

რუსეთი ცდილობს, მიიღოს სომხეთისაგან გარანტიები, მათ შორის, იმაზე, რომ ერევანი საერთაშორისო ორგანიზაციებში მხარს არ დაუჭერს რუსეთის საწინააღმდეგო რეზოლუციებს.

ანტირუსული განწყობა სულ უფრო მეტად იგრძნობა ჩრდილოეთ კავკასიაში. რამდენიმე თვის წინ დიდი პროტესტი იყო ინგუშეთში. ამის მიზეზი გახდა ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრის დემარკაცია ჩეჩნეთთან. ინგუშების მტკიცებით, მათი მიწები ჩეჩნეთს უსამართლოდ დაუმტკიცეს.

ბოლო დროს დიდი უკმაყოფილებაა დაღესტანში. რიგითი მოქალაქეები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით, დაღესტანში, მიმდინარეობს ახალგაზრდების გენოციდი. ისინი ამაში მოსკოვის მახინჯ სახელმწიფო სისტემას ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ თევზი თავიდან ყარს.

რეგიონში დაწყებული ცვლილებები გაგრძელდება. ისინი საქართველოსაც მოიცავს, რაც შიდა პოლიტიკის გადასხვაფერებას გამოიწვევს.

უძრავი ქონების გაძვირება და გაყიდვების შემცირება – რა პროგნოზები აქვთ დეველოპერებს 2019 წლისთვის

2019 წელს ბინები გაძვირდება, მოთხოვნა შემცირდება, ბაზარს კი ზოგიერთი დეველოპერული კომპანია დატოვებს -— ასეთ პროგნოზს აკეთებს „ბიზნესპრესნიუსთან“ დეველოპერების ნაწილი.

მიზეზად კი არა მხოლოდ საბანკო რეგულაციებს, არამედ ტექნიკურ რეგლამენტში უკვე შესულ და დაგეგმილ რეგულაციებს ასახელებენ. დეველოპერები ამბობენ, რომ ყველაფერი ერთობლიობაში ბიზნესს სერიოზულად „დაარტყამს“.

როგორც დეველოპერები აცხადებენ, 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედებული ტექნიკური რეგლამენტი – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე სამშენებლო პროდუქტების შესახებ მთავრობის ახალი დადგენილება, რომელიც მომავალი წლის 15 იანვრიდან ამოქმედდება, ბინების ფასს საშუალოდ 1 კვ/მეტრზე 100-დან 150 დოლარამდე გააძვირებს.

მშენებლების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მოთხოვნასაც შეამცირებს, თუმცა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ გაყიდვების შემცირებას არა ბინების გაძვირება, არამედ საბანკო რეგულაციები გამოიწვევს.

„არსის“ ფინანსური მენეჯერი თორნიკე აბულაძე: „მე ვფიქრობ, ტექნიკური რეგლამენტი გაყიდვების შემცირებას არ გამოიწვევს, რადგან მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე მიწოდება. ამასთან, უძრავ ქონებას გააძვირებს არა 15 იანვრიდან ასამოქმედებელი სამშენებლო მასალების შესახებ რეგლამენტი, არამედ, მანამდე მიღებული რეგულაციები. კერძოდ, 2017 წლის 1-ლ იანვარს რაც მიიღეს, ეს არის დამატებით სახანძრო უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული. მაგალითად, თუ მშენებელი ერთ სახლზე 1 კიბეს აკეთებდა, ახლა მოუწევს, რომ 2 გააკეთოს და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის 1-ლ იანვრამდე დამტკიცებული პროექტები ჯერ კიდევ არსებობს, ნელ-ნელა ეს პროდუქცია ამოიყიდა და თუ მანამდე ახალი რეგლამენტით დაწყებული მშენებლობები მხოლოდ 10%-ს შეადგენდა, ახლა ეს თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. შესაბამისად, ჩვენ ველოდებით, რომ ფასი გაძვირდება ახალი წლის შემდეგ, თუმცა არა იანვარშივე, ეს მოხდება ეტაპობრივად“.

რაც შეეხება უძრავ ქონებაზე მოთხოვნის შემცირებას, როგორც თორნიკე აბულაძე აცხადებს, ამას საბანკო რეგულაციები გამოიწვევს და ის კომპანიები, ვისი გაყიდვების მნიშვნელოვანი წილიც განვადებებზე მოდიოდა, არსებობას შეწყვეტს.

– ზოგიერთი კომპანია პროდუქციის 80%-ს განვადებით ყიდის, ნაწილის შემთხვევაში კი ეს ციფრი 25%-ს არ აღემატება. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, საბანკო რეგულაციები იმ ადამიანების რაოდენობას შეამცირებს, ვისაც ბინის ყიდვა უნდა, რაც, თავისთავად, ყველა დეველოპერის საქმიანობაზე აისახება. იქიდან გამომდინარე, რომ ყველა კომპანიაში განვადების წილი განსხვავებულია, ზოგიერთ კომპანიას ნაკლებად შეეხება, ზოგიერთი კი დაიღუპება, – აღნიშნავს თორნიკე აბულაძე.

კომპანია „ივერიონის“ დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი აცხადებს, რომ ბინები ყველა შემთხვევაში გაძვირდება, თუმცა მოთხოვნის შემცირების ნაწილს განსხვავებულად უყურებს.

– მე ვფიქრობ, ფასი ყველა შემთხვევაში მოიმატებს, თუმცა ეს უცებ არ მოხდება. ახლა ძირითადად მაინც ძველი პროექტების მშენებლობა მიმდინარეობს, ახლის შემთხვევაში კი დამტკიცების პროცედურები საკამოდ გართულებულია. შესაბამისად, როდესაც ახალი პროექტები დამტკიცდება, სადღაც 2019 წლის ბოლოსკენ, უძრავი ქონება 1 კვ/მეტრზე 150 დოლარამდე მოიმატებს.

ვფიქრობ, ეს რეგულაციები თუ ყველას შეეხება და არ იქნება მონოპოლიური კომპანიები, ვინც ამ პროცედურებს უფრო მარტივად გაივლის, ყველასთვის თანაბრად რთული იქნება და წესით, დეფიციტი შეიქმნება. თუმცა, თუ იქნება მონოპოლიები და გარკვეული კომპანიები უფრო მასობრივ მშენებლობებზე გადავლენ, პატარა კომპანიები დაიჩაგრებიან და, ალბათ, ასეთი მცირე მოთამაშეები ბაზარს დატოვებენ. მონოპოლისტები კი ფასს თავად დაადგენენ, – აცხადებენ არჩილ ჯაყელი.

„რედკოს“ პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაური კი ამბობს, რომ რეგლამენტის მხრივ ვითარება განსაკუთრებით მძიმე თბილისშია, სადაც მშენებლებს გაცილებით მეტი მოთხოვნის დაკმაყოფილება უწევთ, ვიდრე რეგიონებში.

– თუ ფასი მოიმატებს, გაყიდვები თავისთავად შემცირდება. იქიდან გამომდინარე, რომ „რედკო“ მშენებელობას ახორციელებს გუდაურში, ჩვენი პროდუქტი ისედაც საკმაოდ ძვირია და მეტად მომატებას აღარ ვაპირებთ. მითუმეტეს, რომ გუდაურში დამტკიცებული გვაქვს განაშენიანების გეგმა, ამან ბევრი რამ დაგვირეგულირა. თბილისის შემთხვევაში მიწის ყველა ნაკვეთზე ინდივიდუალურად იღებ ნებართვებს, ამას ემატება რეგულაციები, სატრანსპორტო, ასევე ეკოლოგიური კვლევები და ა.შ. ანუ ზოგადად, თბილისში სამშენებლო ნებართვების გაცემა გაცილებით გამკაცრებულია და უფრო რთულია ბიზნესის წარმოება, – აცხადებს მალხაზ კუნელაური.

როგორც „რედკოს“ პროექტების მენეჯერი აღნიშნავს, ამ ყველა ფაქტორს ემატება საბანკო რეგულაციებიც, რაც ბაზარზე მოთამაშეების რაოდენობას მნიშვნელოვნად შეამცირებს.

– რამდენი პროცენტით შემცირდება ბინებზე მოთხოვნა, კონკრეტულ ციფრებზე საუბარი რთულია, ამას გვიჩვენებს ბაზარი და პრაქტიკული მონაცემი. ფაქტი ერთია, როდესაც მშენებლობის ნებართვის გაცემა შემცირებულია და მუნიციპალიტეტს აქვს მიდგომა, რომ ქალაქის ცენტრალურ უბნებში მაქსიმალურად შეზღუდოს მშენებლობები და ამას ემატება რეგულაციები, მშენებელს უკვე აღარ აქვს გარანტია, რომ მაგალითად, იყიდის მიწის ნაკვეთს და 1 წლის შემდეგ ნებართვას მიიღებს. ასეთ ვითარებაში ინვესტორი მაქსიმალურად აზღვევს საკუთარ ბიზნესს და ცდილობს, საერთოდ არ შევიდეს იქ, სადაც კონკრეტული გარანტიები არ ექნება. ეს კი ლოგიკურად ამცირებს იმ პირთა წრეს, ვინც ბაზარზე მშენებლობით არიან დაკავებული. ეს უკანასკნელი კიდევ ერთი ფაქტორია პროდუქტის გაძვირების, რადგან, რაც უფრო რთულია საქმის კეთება, მით უფრო ძვირია პროდუქტი, – აცხადებს მალხაზ კუნელაური.

ბან

ალექსიშვილი: „საქართველომ უნდა დაძლიოს მცირე ქვეყნის სტატუსი“

უფრო მეტ ძალისხმევას ვხარჯავთ იმაზე, რა იქნება რეგულაციები, ვიდრე იმაზე, როგორ გავამდიდროთ ხალხი, – მიიჩნევს PMCG-ის დამფუძნებელი ლექსო ალექსიშვილი. ექსპერტი აღნიშნავს, რომ აუცილებელია მოხდეს გააზრება, „როგორ შევძლოთ

სახელმწიფო ჩარევის ლიმიტირება ეკონომიკაში“.

– მე მესმის, რომ მთლიანად რეგულაციებზე უარის თქმა შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია, ვიყოთ მოზომილები ამ მიმართულებით, სად არის აუცილებელი ამის გაკეთება და სადაც საჭირო არ არის არ უნდა გვქონდეს არაფერი, – აღნიშნა ლექსო ალექსიშვილმა მაესტროს ეთერში სტუმრობისას.

მისი თქმით, 2018 წელი იყო კარგი წელი დღგ-ს დაბრუნების გამარტივების კუთხით, რაც არის ხელშემწყობი გარემო ბიზნესისთვის. ასევე მოგების გადასახადის რეფორმის გატარება, რაც წელს ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი იყო.

ლექსო ალექსიშვილი მიიჩნევს, რომ რამდენიმე კუთხით უნდა გააქტიურდეს ქვეყნის პოლიტიკა, რათა ყველა კომპონენტით უზრუნველყოს ხელსაყრელი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება.

– საქართველო უნდა გახდეს უსაფრთხო ადგილი და ამისთვის აუცილებელია სასამართლო სისტემა, უნდა უზრუნველვყოთ, რომ ბიუროკრატიული ჩარევის მექანიზმი იყოს იყოს რაც შეიძლება ნაკლები, საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მაქსიმალურად გამარტივებული და გადასახადები ნაკლები. ასევე საქართველომ უნდა გააგრძელოს დაწყებული ტრენდი და გააფორმოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მეტ დიდ ბაზართან, რადგანაც საქართველომ უნდა დაძლიოს მცირე ქვეყნის სტატუსი. ჩვენ უნდა ვიყოთ გასასვლელი დიდ ბაზრებზე, რაც არის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინაპირობა, – აცხადებს ექსპერტი.

ვბცვე

3 შვილის დედა ნაქირავებ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს

ნინო ყიფშიძე შიშველი იყო და სხეულზე მრავლობითი დაზიანებები ჰქონდა

3 შვილის დედა ნაქირავებ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. ნინო ყიფშიძე შიშველი იყო და სხეულზე მრავლობითი დაზიანებები ჰქონდა.

ჰემატომები ოჯახისთვის პირდაპირი ნიშანია, რომ 31 წლის ქალი წამებით არის მოკლული. პოლიცია კი საქმეს თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით იძიებს, რაც ყიფშიძეების ოჯახის პროტესტის მიზეზი ხდება.

ექსპერტიზის ბიუროდან ცხედრის ოჯახში გადასვენების შემდეგ მამამ საკუთარი თვალით ნახა ის დაზიანებები, რომლებიც მის ქალიშვილს აღენიშნებოდა.

ოჯახის ინფორმაციით, სიკვდილის მომენტში ნინო ყიფშიძე სახლში მარტო არ იყო და მასთან ერთად მეგობარი მამაკაცი იმყოფებოდა. იმედა გაბაძე პოლიციამ უკვე გამოკითხა, თუმცა მას შემდეგ ის ადიგენის მუნიციპალიტეტიდან გაუჩინარდა.

ნინო ყიფშიძე ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაჯაროში მცირეწლოვან შვილებთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა. ის ახალციხის ერთ-ერთ რესტორანში მუშაობდა. იმის გამო, რომ სოფლიდან სამსახურში მისასვლელად დიდი დრო სჭირდებოდა, პერიოდულად ღამეს ახალციხეში ნაქირავებ ბინაში ათევდა.

რესტორანში თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ და აცხადებენ, რომ ქალი დეპრესიული არასოდეს ყოფილა.

სახლის მესაკუთრე, სადაც ნინო ყიფშიძე ცხოვრობდა, იხსენებს, რომ იმ ღამეს ქალს სტუმარი ჰყავდა. იმედა გაბაძემ საშველად სახლის პატრონს დაუძახა. ოთახში შესულებს კი ახალგაზრდა ქალი უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

მეპატრონე ამბობს, რომ გაბაძემ, რომელიც ქალის თანასოფელი და დიდი ხნის ნაცნობი იყო, სასწრაფოს ექიმებს უთხრა, რომ გარდაცვლილს არ იცნობდა.

ოქროს საყურისთვის ქალმა ქალი მოკლა

ლილი დათუკიშვილის მკვლელობისთვის მისი მდგმური დააკავეს

გორში 74 წლის ლილი დათუკიშვილის მკვლელობის მიზეზი ოქროს ნივთის მოპარვა გახდა.

პოლიციამ 50 წლის ქალი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და გორის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, 1968 წელს დაბადებული თ.კ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, გორში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროდან აცნობეს, ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული 1944 წელს დაბადებულ ლ.დ.-ს კუთვნილ ბინას ქირაობდა. მასთან მორიგი სტუმრობის დროს, ოქროს ნივთის მოპარვა დააპირა, რაც ლ.დ.-მ შენიშნა. ფაქტს სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა, რა დროსაც თ.კ.-მ ლ.დ.-ს ბოთლი თავის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად 74 წლის ქალი ადგილზე, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში გარდაიცვალა.

ბრალდებულმა შემთხვევის ადგილის დატოვებამდე ლ.დ.-ს კუთვნილი ოქროს საყურე მოიპარა, რომელიც მოგვიანებით, რუსთავში მდებარე ერთ-ერთ ლომბარდში ჩააბარა.

პოლიციამ ლომბარდში ჩაბარებული ნივთი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ქალი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

რუსთავში ციხის მორიგე ხაჩატურ მანკასარიანმა თავის მოკვლა ცადა

29 დეკემბერს რუსთავში 20 წლის მამაკაცი დაიჭრა.

ახალგაზრდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიდა. ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით იქნა მიყენებული.

დაშავებული მამაკაცი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმის თქმით, პაციენტს აღენიშნებოდა ღია ჭრილობა მუცლის მიდამოებში და ასევე წელში. ამიტომ მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

„მიმდინარე წლის 29 დეკემბერს, დაახლოებით 18:03 საათზე ხაჩატურ მანკასარიანმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების, კერძოდ, მე-17 პენიტენციარული დაწესებულების სათვალთვალო კოშკურაზე მორიგეობისას ცეცხლსასროლი იარაღით თვითდაზიანება მიიყენა.

იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც ჩაუტარდა ოპერაცია და სათანადო სამედიცინო დახმარება გაეწია. ამჟამად ხაჩატურ მანკასარიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ ეცნობა მანკასარიანის ოჯახს. ასევე ფაქტზე დაწყებულია გამოძიება, რომლის შედეგადაც უნდა დადგინდეს, სუიციდის მცდელობაა მომხდარი თუ მანკასარიანმა თვითდაზიანება გაუფრთხილებლობით მიიყენა.

1998 წელს დაბადებული ხაჩატურ მანკასარიანი მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მანკასარიანი სპეციალური პენიტენციარული სამსახურის პენიტენციარული დეპარტამენტის გარე დაცვის სამმართველოს მე-17 განყოფილებაში 23 ოქტომბრიდან მსახურობს“, – აღნიშნულია სპეციალური პენიტენციარული სამსახურის ინფორმაციაში.

სპორტის სასახლესთან მამუკა ჩოქურის კი არა, მისი ცოლის, ეკა მგალობლიშვილის, მანქანა დაწვეს

„რა გინდა, მანიაკო!“

28 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ 28 დეკემბერს დილით სპორტის სასახლესთან სამგორის ყოფილი გამგებლის, მამუკა ჩოქურის, ტოიოტა პრადო დაწვეს.

რეიტინგის ცნობით კი ეს მანქანა მამუკა ჩოქურს კი არა, მის მეუღლეს, სილამაზის კონკურსების ორგანიზატორს, სამოდელო სააგენტო „კატრინის“ დამაარსებელ ეკა მგალობლიშვილს ეკუთვნის.

ამის შესახებ ეკა მგალობლიშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა.

მგალობლიშვილის ავტომობილის დაწვა ოთხი წლის წინაც სცადეს, თუმცა მეზობლებმა მისი გადარჩენა მოახერხეს.

„4 წლის უკან, ვიღაც იქსმა, გადაწყვიტა ჩემი მანქანა დაეწვა, რომელიც მეზობლების წყალობით გადარჩა. მიუხედავად კამერებიდან ამოღებული მასალისა, დამნაშავე მაინც თავისუფლად და ლაღად დააბიჯებს ქუჩებში. დღეს გამთენიისას კი აისრულა საწადელი და მანქანა სრულიად დაწვა, აგრეთვე დააზიანა ირგვლივ მყოფი ავტომობილები. მანქანა დაზღვეული მაქვს, მაგრამ ყოველ წუთს უნდა მეშინოდეს???!!!

არასოდეს არანაირ თემაზე „არ ამომიღია ხმა„ არ გავჩერდები ვიდრე დამნაშავე დასჯილი არ იქნება!!!! შენ კი საჯაროდ მოგმართავ გამოჩნდი და გაგვაგებინე რა გინდა??? მანიაკო და ბოროტო ადამიანო!!!“ – წერს მგალობლიშვილი.

ეკა მგალობლიშვილი რეიტინგთან საუბარში აცხადებს, რომ მტერი არ ჰყავს, შესაბამისად, მისთვის წარმოუდგენელია, რატომ დაუწვეს ავტომობილი.

ის მომხდარს ქმრის, მამუკა ჩოქურის, პოლიტიკურ აქტივობას არ უკავშირებს.

რუსთავში სტრიპტიზკლუბი გაქურდეს

უცნობმა პირმა კარი ლოდით შეანგრია

რუსთავში სასტუმრო რუსთავის შენობაში განთავსებული სტრიპტიზკლუბი გაქურდეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, დაწესებულებიდან წაღებულია დაახლოებით 1000 ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელები. უცნობმა პირმა კარი ლოდით შეანგრია.

ბარის თანამშრომლებმა ფაქტის შესახებ მაშინ შეიტყვეს, როდესაც სამსახურში მისულებს სტრიპტიზკლუბის კარი ღია დახვდათ, რის შემდეგაც მათ უკვე სამართალდამცველები გამოიძახეს.

ფაქტზე გამოძიება სსკ 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

თბილისში კაფე გაქურდეს

30 დეკემბერს თბილისში ჯიქიას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კაფე გაქურდეს. მომხდარი ფაქტის შედეგად ჩამსხვრეულია კაფეს მინა.

ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები.

შინაგან საქმეთა სამინისტროში საქმე 177-ე მუხლით აღიძრა, რაც ქურდობას გულისხმობს.

პეკინზე დაჭრილს სხეულიდან საფანტის ტყვიები ამოუღეს

სროლა იყო 29 დეკემბერს, ღამით, პეკინის 4 ნომერში მდებარე ლომბარდთან ახლოს. შედეგად დაჭრილია 44 წლის მამაკაცი. ის მრავლობითი ჭრილობებით ევექსის კლინიკაშია მოთავსებული, სადაც მას საფანტის ტყვიები ამოუღეს.

დაჭრილის მდგომარეობა სტაბილურია.

შემთხვევის ადგილზე გვიანობამდე მუშაობდა კრიმინალური პოლიცია.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-ტარებას გულისხმობს.

33 ათასი ლარის გამო ახალქალაქში 2 წლის წინ დედა და მისი 3 შვილი მოკლეს

რატომ არ იძიებენ ამ დანაშაულს?

33 ათასი ლარის გამო ახალქალაქში დედა და მისი სამი შვილი მოკლეს. მძარცველები ოჯახში ღამით ფანჯრიდან შევიდნენ. 37 წლის ოფელია, 15 წლის ასია, 10 წლის არმინე და 5 წლის სერგეი ერთ დღეს მოკლეს და კვალის დაფარვის მიზნით სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

უმძიმესი კრიმინალური ისტორია უკვე ორი წელია, გამოუძიებელია.

ვაღარშაგ ქაჩოტიანი, რომელმაც მთელი ოჯახი დაკარგა, სამართლიანობის აღდგენას უშედეგოდ ითხოვს და მიაჩნია, რომ დამნაშავეებს მფარველობენ. თავად ქაჩოტიანი სიკვდილს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ საქართველოში არ იმყოფებოდა.

მას შემდეგ, რაც მკვლელების ვინაობამ გამოძიება ვერ დაადგინა, მოკლულების ოჯახის წევრებმა თავად გადაწყვიტეს დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება, თუმცა ყვებიან, რომ ხელი ისევ პოლიციამ შეუშალა.

მთავარი მოწმეები, ვინც სასტიკი მკვლელობის შესახებ ინფორმაცია ფლობდა, სოფლიდან გააქრეს, მტკიცებულებები გააყალბეს, ხოლო ადვოკატი, რომელიც ქაჩოტიანის ინტერესებს იცავდა, დააშინეს.

დაზარალებული ოჯახი ყვება, რომ დამნაშავეები სახლში ფანჯრიდან შევიდნენ. წინასწარ იცოდნენ, რომ ოთახში, სადაც დედას 5 წლის შვილთან ერთად ეძინა, 800 ათასი რუსული რუბლი, დაახლოებით, 33 ათასი ლარი ინახებოდა.

ხელოვნურად გაჩენილი ხანძრის გამო გამოძიება ჩიხში შევიდა. 2016 წელს მომხდარიდან მალევე პოლიციამ მხოლოდ 1 პირი დააკავა, ბრალდებულმა დანაშაული არ აღიარა და ციხეში თავი ჩამოიხრჩო.

სოფელ ვაჩიანში სამართალდამცველების უმოქმედობა უკვირს ყველას. ადგილობრივებს აქვთ ეჭვი, რომ ხელისუფლება კრიმინალებს მფარველობს. თუ პოლიცია 4 ადამიანის მკვლელობას არ გამოიძიებს, ხალხი ამბობს, რომ შურს დამნაშავეებზე თავად იძიებს.

ვიდრე ძალოვანი უწყებები კვლევის პროცესში არიან, ქაჩოტიანები პირობას დებენ, რომ დანაშაული არც მკვლელებსა და არც სახელმწიფოს შერჩებათ.

თბილისში სიგარის სახლი გაქურდეს

თბილისის ცენტრში, აბაშიძის ქუჩაზე, სიგარის სახლი გაქურდეს. შემთხვევა 30 დეკემბერს, დილის 09:00 საათზე მოხდა, როცა კომერციული ობიექტი დაკეტილი იყო.

წაღებულია სიგარები. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძიება ქურდობის მუხლით დაიწყო.

ანა სუბელიანი: „იუსტიციის სამინისტროს ჩემთან ჭიდაობა 74.250 ლარი დაუჯდა“

სამოქალაქო აქტივისტი ანა სუბელიანი სოციალურ ქსელში წერს, რომ ის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეთავაზებას დათანხმდა და უწყებასთან დავა შეწყვიტა.

„იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მორიგება შემომთავაზა. მქონდა ორი გზა, დავთანხმებულიყავი იმაზე ნაკლების მიღებას, ვიდრე მეკუთვნოდა, მაგრამ დამესრულებინა ჩემი ცხოვრების უდიდესი ეტაპი, ხუთწლიანი ბრძოლა, რომელიც სამგზის მოვიგე, ჩემი სიმართლე დავამტკიცე, სისტემა ვამხილე, ბევრს იმედი გავუჩინე, წულუკიანის იმიჯსაც მნიშვნელოვანი ზიანი მივაყენე... თუ გამეგრძელებინა ბრძოლა სტრასბურგში, კიდევ რამდენიმე წლით, მომეგო საქმე, მიმეღო ვინ იცის, სამმაგი თანხა... მე ჩემი ვთქვი. ახლა სხვა რამეები მაქვს სათქმელ-საკეთებელი. საქმე დავხურე. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი ვიფიქრე და ჩემი შეუპოვრობა გამოვიგლოვე კიდეც.

იუსტიციის სამინისტროს ჩემთან ჭიდაობა 74.250 ლარი დაუჯდა. აქედან ოცი პროცენტი ბიუჯეტში დავაბრუნე. მომივიდა მესიჯი 59.400 ლარის ჩარიცხვის შესახებ. ამ თანხის დაახლოებით მეხუთედი მცირედ სამართლიანობებს, მადლიერებას თუ მხარდაჭერას მოვახმარე. დანარჩენით გავისტუმრე ვალები, შევიძინე მიწა ნაფეტვრებში და თანხის ნაწილი ცოტა რო წაუჭკვიანურებს, ისე დავაბანდე, რომ რაღაც დრო უმუშევრობის, იაფი მოგზაურობის და სულიერი სიმშვიდის მოპოვების ფუფუნება მქონდეს. დავიმსახურე.

აქვე – სრული მხარდაჭერა ჩემგან თამაზს, ზუსტად ვიცი, ბოლომდე იბრძოლებს, გაიმარჯვებს და ეს მაინც ჩვენი, ორივეს გამარჯვება იქნება!“ – წერს სუბელიანი.

2014 წელს ანა სუბელიანი და თამაზ ახობაძე იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან გაათავისუფლეს. ახობაძემ და სუბელიანმა მიიჩნიეს, რომ ეს ყველაფერი მათ სოციალურ ქსელში გაკეთებულ პოსტებს უკავშირდებოდა, სადაც დანაშაულის პრევენციის ცენტრის, დავით მაისურაძის, გათავისუფლება გააპროტესტეს.

ამის შემდეგ სუბელიანმა და ახობაძემ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში სამინისტროს დავა მოუგეს. იუსტიციის სამინისტროს დაევალა, აენაზღაურებინა 4-წლიანი იძულებითი განაცდური.

აღსანიშნავია, რომ ახობაძე ამ დრომდე არ აღუდგენიათ სამსახურში.

კალეიდოსკოპი

სერფერი ზვიგენს დაეჯახა და გადარჩა

დომინიკანის რესპუბლიკაში კაიტსერფერი დიდი სიჩქარით დაეჯახა ზვიგენს, რის შემდეგად წყალში აღმოჩნდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ავსტრალიურმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

პროფესიონალი სპორტსმენი ალექს სოტო 2019 წლის პანამერიკული თამაშებისთვის ქალაქ კაბარეტეს სანაპიროსთან ემზადებოდა. მან წყალში ზვიგენი შენიშნა, მაგრამ, იმის გამო, რომ წყალზე დაფით ძალიან სწრაფად მისრიალებდა, შეჯახების თავიდან აცილება ვეღარ მოახერხა. მისი სერფი ქვედა ნაწილით ზვიგენს დაეჯახა და წყალში ჩავარდა, თავად სოტოს კი კაიტისთვის ხელი არ გაუშვია.

ინციდენტი ვიდეოკამერამ გადაიღო, რომელიც კაიტზე იყო დამაგრებული. როდესაც სპორტსმენმა ნაპირს მიაღწია, მომხდარის შესახებ სხვა კაიტსერფერებს უამბო, თუმცა მათ მისი ნაამბობი მანამდე არ დაიჯერეს, სანამ ვიდეო საკუთარი თვალით არ ნახეს.

– 14 წლის ვარჯიშების განმავლობაში ერთხელაც კი არ შემიმჩნევია ზვიგენი კაბარეტეს სიახლოვეს და სწორედ ამიტომ ვარ გაოცებული ამ შემთხვევის გამო, – განაცხადა სოტომ.

ამ შეჯახების შედეგად ზვიგენი არ დაშავებულა, სამაგიეროდ, სპორტსმენის აღჭურვილობა სერიოზულად დაზიანდა.

ბრიტანელმა, რომელიც არ სვამდა, დალია და ხე მოტეხა

ბრიტანეთის ქალაქ ნიუკასლ-აპონ-ტაინში მუშამ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ალკოჰოლურ სასმელებს არ მოიხმარდა, დალია და მუშტის დარტყმით ხე მოტეხა.

22 წლის კრისტოფერ დიქსონი მოძრავ ბაზრობაზე მუშაობდა და რვა თვეში თითქმის მთელი ქვეყანა შემოიარა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ალკოჰოლური სასმელი არ დაულევია. სახლში დაბრუნებული ახალგაზრდა მამაკაცი პაბში შევიდა, დათვრა, შემდეგ ქუჩაში გამოვარდა, ხეს მუშტი დასცხო და შუაზე გადატეხა. დაწესებულების დაცვის წევრებმა ის დააკავეს და პოლიცია გამოიძახეს.

სასამართლოზე გაირკვა, რომ სიმთვრალის გამო დიქსონს არაფერი ახსოვდა. ამის მიუხედავად, მან დანაშაული აღიარა. ამ შემთხვევის შემდეგ მან გადაწყვიტა, სპირტიან სასმელებზე ისევ უარი ეთქვა და სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებებში დღეასწაულის დღეებშიც კი აღარ შესულიყო.

სასამართლომ ახალგაზრდა მამაკაცს მოტეხილი ხის ღირებულებისა და სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება დააკისრა. მას სულ 215 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკელებმა, შესაძლოა, ქურთებს იარაღი დაუტოვონ

როგორც ცნობილია, აშშ-ის არმია სირიას ტოვებს.

შესაძლოა, ამერიკელებმა ქურთებს იარაღი დაუტოვონ. საუბარია სამხედრო ტექნიკაზე, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებზე და ა.შ.

ამ გეგმას ამერიკელი სამხედროები პრეზიდენტ ტრამპს წარუდგენენ.

მოსკოვმა უკრაინელი მეზღვაურების გათავისუფლებაზე უარი განაცხადა

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა მოუწოდეს რუსეთს, უკრაინელი მეზღვაურები გაეთავისუფლებინათ.

სუბარია მათზე, ვინც ქერჩის სრუტეში ინციდენტისას შეიპყრეს.

– ეს გამორიცხულია, – განაცხადა პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

მისი თქმით, დასავლეთი ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს და უკრაინაში ადამიანის უფლებების დარღვევაზე თვალს ხუჭავს.

– უკრაინელებმა დაადუღეს დონბასი! უკრაინაში ნაცისტები გმირებად გამოაცხადეს! სახელმწიფო ეკლესიის საქმეებში ერევა, – ამბობს ლავროვი.

დატყვევებულმა მეზღვაურებმა თავი სამხედრო ტყვეებად გამოაცხადეს.

– მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინის ომი. ჩვენც სამხედრო ტყვეები ვართ, – აცხადებენ ისინი.

გერმანიასა და ჰოლანდიაში 5 მამაკაცი ტერაქტის მომზადების ბრალდებით დააკავეს

გერმანიის ქალაქ მაინცსა და ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში 5 ადამიანი ტერაქტების მომზადების მცდელობისთვის დააკავეს.

მაინცის პოლიციამ ნიდერლანდების მოთხოვნით დააკავა 26 წლის სირიელი, რომელსაც გერმანიაში ცხოვრების ნებართვა არ გააჩნდა. ახლა გერმანიის სასამართლომ ნიდერლანდებში მისი ექსტრადირების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

დამნაშავის დასაკავებლად ოპერაცია ნიდერლანდების სამართალდამცველებთან მჭიდრო კოორდინაციით ჩატარდა. დანარჩენი 4 პირი როტერდამში დააკავეს, სადაც ისინი ტერორისტული აქტის განხორციელებას გეგმავდნენ.

ისინი 20-დან 30 წლამდე მამაკაცები არიან.

ბრიტანეთი: „რუსეთთან სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ არ აღდგება“

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ინგლისში რუსეთის ელჩ იაკოვენკოს განცხადება იმის თაობაზე, რომ მალე ორ ქვეყანას შორის სრულფასოვანი დიპლომატიური ურთიერთობები აღდგება.

– ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, – თქვეს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სოლსბერიში რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტების მიერ მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლის მცდელობის შემდეგ ინგლისიდან რუსი დიპლომატების გარკვეული ჯგუფი გააძევეს. რუსები ვალში არ დარჩნენ და მოსკოვიდან ინგლისელი დიპლომატების ჯგუფი გააძევეს.

რუსების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დიპლომატების ადრინდელი ოდენობის აღდგენის თაობაზე არ აღმოჩნდა სწორი.

ეგვიპტის უშიშროების ძალებმა 40 მებრძოლი გაანადგურეს

ეგვიპტის უშიშროების ძალებმა გიზასა და სინის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში 40 მებრძოლი გაანადგურეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ქვეყნის შს სამინისტრო ავრცელებს.

სპეცოპერაციის ფარგლებში რეიდები ჩატარდა ექსტრემისტების ქსელის წინააღმდეგ, რომელიც თავდასხმას გეგმავდა სახელმწიფო დაწესებულებებისა და ტურისტული ობიექტების წინააღმდეგ.

ჩხრეკის ფარგლებში ამოღებულია დიდი ოდენობით იარაღი და ტყვია-წამალი, ასევე – ასაფეთქებელი მოწყობილობები.

29 დეკემბერს ღამით კაიროში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. 2 ვიეტნამელი ტურისტი ადგილზე დაიღუპა. მოგვიანებით საავადმყოფოში ეგვიპტელი გიდი და კიდევ ერთი ვიეტნამელი ტურისტი გარდაიცვალნენ. დაშავებულია 12 ადამიანი.

პესკოვი: „რუსეთისა და ბელორუსის გაერთიანება გამორიცხულია!“

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთისა და ბელორუსის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება გამორიცხულია.

– ასეთ ხმებს მტრული ძალები ავრცელებენ, – ამბობს პესკოვი.

სახალხო მკურნალილამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

შეტაკებები პარიზში

ახალი წლის მოახლოების მიუხედავად, პარიზში აქციები ისევ გაიმართა.

ყვითელჟილეტიანები კვლავ ქუჩაში გამოვიდნენ. მართალია, აქციები ბევრად ნაკლებად მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ ისინი მაინც შედგა.

ფრანგ პროტესტანტებს შორის დონბასელი სეპარატისტებიც იყვნენ. ისინი ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის“ დროშას აფრიალებდნენ.

პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის შეტაკება მოხდა.

პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. დემონსტრანტები დაიშალნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

2018 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ჩაკვეტაძე გახდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონია გამართა, სადაც 2018 წლის საუკეთესოები გამოავლინეს. რჩეულთა გამოსავლენად გამოკითხვაში მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ლიგის 10-ვე მთავარმა მწვრთნელმა და 11-მა ფეხბურთელმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა, სპორტული მედიის წარმომადგენლებმა და საქართველოს ვეტერანმა ფეხბურთელებმა მიიღეს.

ღონისძიების მთავარი ტრიუმფატორი 19 წლის გიორგი ჩაკვეტაძე გახდა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა მიმდინარე წელს, ეროვნული ნაკრების მაისურით 7 მატჩში, 5 გოლი გაიტანა და უეფას ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო.

2018 წლის ნომინაციებში გამარჯვებულები გახდნენ:

2018 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი – გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია);

2018 წლის სეზონის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი – გულნარა გაბელია (ბიიკ კაზიგურტი, ყაზახეთი);

2018 წლის სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი – გიორგი ხარაიშვილი (გიოტებორგი, შვედეთი);

2018 წლის სეზონის საუკეთესო გოლი – ვაკო ყაზაიშვილი (ერსქვიქსი, სან-ხოსე, აშშ);

2018 წლის სეზონის ფუტსალის საუკეთესო მწვრთნელი – ავთანდილ ასათიანი (ფუტსალის ეროვნული ნაკრები);

2018 წლის სეზონის ფუტსალის საუკეთესო მოთამაშე – ზვიად კუპატაძე (გაზპრომ იუგრა, რუსეთი);

2018 წლის სეზონის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ქალთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი – სალომე გასვიანი (34 გოლი, მართვე, ქუთაისი);

2018 წლის სეზონის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ქალთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი – ნათია დანელია (ლანჩხუთი);

2018 წლის სეზონის საუკეთესო მსაჯი – გიორგი ყრუაშვილი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე 2018 წლის სეზონში გამორჩეულ 17 წლამდე და 19 წლამდე ფეხბურთელებს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ალექსანდრე ჩივაძის სახელობის პრემია გადაეცათ.

17 წლამდე: ოქროს მედალი – ნიკა ტალახაძე (საბურთალო, თბილისი);

ვერცხლის მედალი – ლაშა კვარაცხელია (დინამო, თბილისი);

ბრინჯაოს მედალი – ირაკლი აზაროვი (დინამო, თბილისი);

19 წლამდე: ოქროს მედალი – ზურიკო დავითაშვილი (ლოკომოტივი, თბილისი);

ვერცხლის მედალი – ხვიჩა კვარაცხელია (რუსთავი);

ბრინჯაოს მედალი – ლევან ხარაბაძე (დინამო, თბილისი).

საფეხბურთო კლუბები, რომლებმაც აღნიშნული ფეხბურთელების ჩამოყალიბებაში მიიღეს მონაწილეობა, ფულად ჯილდოს მიიღებენ: ბრინჯაოს მედალი – 2.000 ლარი, ვერცხლის მედალი – 3.000 ლარი, ოქროს მედალი – 5.000 ლარი.

გარდა ნომინაციებში გამარჯვებულებისა, ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, უკვე ტრადიციულად, საპატიო ჯილდო გადაეცათ, იმ ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ფეხბურთის განვითარებაში.

მასობრივ ფეხბურთში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯილდო გადაეცა ზაურ კეკელიძეს, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მწვრთნელს ქალაქ ბათუმიდან. გორში მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური პრიზი მიიღო რიჩარდ ოლუმოივამ. თბილისსა და საღნაღში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ჯილდო ასევე გადაეცათ მწვრთნელებს, გია მაისურაძესა და ნუგზარ ნაცვლიშვილს.

ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური ჯილდო გადაეცა ვეტერან ქართველ მწვრთნელს, ნოდარ აკობიას. დაჯილდოების ცერემონიაზე საპატიო პრიზი მისმა ვაჟმა, გიორგი აკობიამ მიიღო.

წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე ასევე ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის სეზონის საუკეთესოები გამოავლინეს.

2018 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და თავდამსხმელი – გიორგი გაბედავა (ჩიხურა, საჩხერე), რომელიც ასევე 22 გატანილი გოლით, ბუდუ ზივზივაძესთან (დინამო, თბილისი) ერთად ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

2018 წლის სეზონის საუკეთესო მეკარე – როინ კვასხვაძე (ტორპედო, ქუთაისი);

2018 წლის სეზონის საუკეთესო მცველი – მამუკა კობახიძე (ტორპედო, ქუთაისი);

2018 წლის სეზონის საუკეთესო ნახევარმცველი – მათე ცინცაძე (ტორპედო, ქუთაისი);

2018 წლის სეზონის საუკეთესო ლეგიონერი – ლეანდრო რიბეირო (დილა, გორი);

2018 წლის სეზონის წლის საუკეთესო მწვრთნელი – გიორგი ჭიაბრიშვილი (საბურთალო, თბილისი);

ეროვნული ლიგა 2-ის 2018 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი – ჯოვინო ფლამარიონი (დინამო, ბათუმი 24 გოლი);

ეროვნული ლიგა 2-ის 2018 წლის სეზონის საუკეთესო მწვრთნელი – გია გეგუჩაძე (დინამო, ბათუმი);

დაჯილდოებაზე ასევე დასახელდა ეროვნული ლიგის სეზონის სიმბოლური გუნდი:

მეკარე: როინ კვასხვაძე (ტორპედო, ქუთაისი);

მცველები: გიორგი რეხვიაშვილი (საბურთალო, თბილისი), ოლეკსანდრ აზაცკი, მამუკა კობახიძე (ორივე ტორპედო, ქუთაისი);

ნახევარმცველები: ლეანდრო რიბეირო (დილა, გორი), მათე ცინცაძე (ტორპედო, ქუთაისი), გიორგი დიასამიძე, ვაგნერ გონსალვეში (ორივე საბურთალო, თბილისი);

თავდამსხმელები: გიორგი გაბედავა (ჩიხურა, საჩხერე), მიკოლა მოვტალიუკი (დილა, გორი), ბუდუ ზივზივაძე (დინამო, თბილისი).

ყოველწლიურ დაჯილდოებაზე ეროვნული ლიგის ფენტეზის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. პირველ ადგილი – გიორგი ჯავახაძე (3.000 ლარი), მეორე ადგილი – ელენე ადამაშვილი (2.000 ლარი), მესამე ადგილი – გიორგი ნებურიშვილი (1.000 ლარი).

ეროვნული ლიგის გამორჩეულ ფეხბურთელს კოტე მახარაძის სახელობის პრიზი გადაეცა.

აღნიშნული ჯილდოს პირველი მფლობელი გიორგი გაბედავა გახდა.

ქუთაისი ახალ წელს ლიდერობით ხვდება

ქუთაისი-ბათუმი 88:68
(25:19, 23:17, 21:15, 19:17)

ჩემპიონატის ლიდერმა იოლად მოიგო. კოტე ტულუშის გაწვრთნილი გუნდი პირველივე წუთებიდანვე დაეუფლა ინიციატივას და მეთოდურად ზრდიდა მატჩის ბოლომდე.

აღსანიშნავია, რომ გარდა შედეგიანი შეტევებისა, იმერული კლუბი დაცვაშიც მშვენივრად გამოიყურებოდა და მეტოქეს გასაქანს არ აძლევდა..

პირველი მეოთხედი ქუთაისელებმა 6 ქულით მოიგეს, ხოლო შესვენებაზე 12 ქულიანი ჰანდიკაპით გავიდნენ. მესამე პერიოდის შემდეგ ნათელი იყო, რომ ზღვისპირელები თამაშის შემომტრიალებლები აღარ იყვნენ.

გამარჯვებულებს დეუან რაითი ულიდერა – 26 ქულა, გიორგი ბარბაქაძე 19 ქულას მოუყარა თავი, ნაყოფიერად გაისარჯა ჯონათან ლი – 17 ქულა, 6 პასი. ბათუმელთაგან მხოლოდ ლუკა კალატოზიშვილი (14 ქულა) და ლეველენზერ ბუსი (12 ქულა) გამოირჩნენ.

დინამო-დელტა 73:62
(22:17, 11:16, 20:11, 20:18)

მატჩი დაძაბული არ გამოდგა. დინამოელებმა მატჩი არცთუ დიდი სხვაობით – 73:62 მოიგეს, თუმცა მეორე ნახევარში სტაბილურად ფლობდნენ საიმედო უპირატესობას და გამარჯვებაც დამსახურებულად მოიპოვეს.

ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამო გახლავთ გუნდი, რომელსაც ყველაზე გრძელი წარმატებული მატჩების სერია გააჩნია. მას შემდეგ, რაც მიმდინარე სუპერლიგა 2 მარცხით დაიწყეს, დინამოელებმა ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგეს.

რაც შეეხება დელტას: ლექსო ღაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდისთვის დინამოსთან მარცხი მესამეა მიმდინარე სუპერლიგაში. გასათვალისწინებელია, დელტას 1 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

დელტასთან მოგებულ მატჩში დინამოელებს ამერიკელმა ჯორდან სვოპშირმა ულიდერა, რომელმაც 24 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. 15 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა დემაგოი ბუბალომ, მიხეილ ჭოჭუას ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა. დელტაში 16 ქულით ბომბარდირი ოთარ ფხაკაძე გახდა, 14 ქულა და 9 მოხსნა ბექა ბექაურის ანგარიშზეა.

ტიტები-ჰიუნდაი 86:93
(20:17, 19:28, 26:21, 21:27)

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს ლიგაში პირველ სეზონს ატარებენ, არც თსუ-ჰიუნდაისა და არც შსს აკადემია-ტიტებს ახალბედობის არაფერი ეტყობათ. ორივე გუნდი საკმაოდ დაწინაურებულია ცხრილში, თსუ-ჰიუნდაელები კი სულაც ლიდერთა შორის არიან.

დებიუტანტთა შერკინების ბედი ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო. ჰიუნდაელები უმეტესწილად იგებდნენ, თუმცა ტიტები არ რჩებოდნენ და გუნდური თამაშის წყალობით ლიდერ კუდში მისდევდნენ. მატჩის დასრულებამდე 3:25 წუთით ადრე ჟოელ ალმეიდას გარღვევის შემდეგ შსს კადემია-ტიტები დაწინაურდა – 77:76. მატჩის გადამწყვეტ მომენტში ლიდერობა ითავა თსუ-ჰიუნდაელთა ახალწვეულმა ბენი ვოზოლამ, რომელმაც ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ სოლო გარღვევით ორიანი მიითვალა, საპასუხო შეტევაში კი მეტოქეს ბურთი ჩაუჭრა და თანამემამულე ჯეიმზ მილიკენს საორქულედ უპასა.

ვოზოლას გაბრწყინების შემდეგ თსუ-ჰიუნდაი მატჩის დასრულებამდე 40 წამით ადრე 90:86 დაწინაურდა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გაირკვა.

გამარჯვებულებს 18-18 ქულით ნიკა მეტრეველმა და ჯეიმს მილიკენმა ულიდერეს. 16 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა ბენ ვოზოლამ, გიორგი კორსანტიასა და რატკო პეტრიჩის ანგარიშზე კი 10-10 ქულა დაგროვდა. ტიტებში 27 ქულითა და 16 მოხსნით საუკეთესო იყო ჟოელ ალმეიდა, გიორგი შარაბიძის ანგარიშზე კი 21 ქულა დაგროვდა.

მგზავრები-ოლიმპი 70:83
(15:22, 19:18, 22:22, 14:21)

გაიმარჯვა ოლიმპმა, რომელმაც სეზონი რიხიანად დაიწყო, თუმცა სუპერლიგის ბოლო 3 მატჩი წაგებული ჰქონდა. გუნდებს შორის ცხრილში მინიმალური სხვაობა იყო მგზავრების სასარგებლოდ და მატჩის შემდეგ ეს გუნდები ქულებით გათანაბრდნენ.

ოლიმპელები მგზავრებთან მატჩისთვის სათანადოდ მოემზადნენ და თამაში ისე მოიგეს, პრობლემა თითქმის არ შეჰქმნიათ. პირველი პერიოდის შემდეგ ოლიმპი 22:15 იგებდა, დიდი შესვენებისთვის კი ლიდერობიდან 6 ქულა დარჩა.

მესამე ათწუთიულში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და პერიოდიც ფრედ – 22:22 დასრულდა. ყველაფერი ბოლო მეოთხედმა გადაწყვიტა, რომელიც დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა ოლიმპმა 21:14 მოიგო და სუპერლიგაში მე-4 გამარჯვება მოიპოვა.

ორივე გუნდს 4-4 მოგებ-წაგება აქვს და ცხრილის შუაში არიან განთავსებულნი.

გამარჯვებულებს ნიკ დარბაიძემ ულიდერა, რომელსაც ეფექტურობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაუგროვდა. მის ანგარიშზე 16 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი დაგროვდა. 16 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა მარკ ოგდენმა, რევაზ როგავამ შეხვედრა 15 ქულითა და 5 პასით დაასრულა.

მგზავრებში 24 ქულით ბომბარდირი გახდა ჯეიკობ არმსტრონგი, ადრიან ბოუის ანგარიშზე კი 22 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი დაგროვდა.

რუსთავი-კაკტუსი 76:81
(25:19, 23:17, 21:15, 19:17)

ორივე გუნდისთვის შანსი იყო, ბოლო ადგილისთვის თავი დაეღწიათ – კაკტუსიცა და რუსთავიც მიმდინარე სუპერლიგის 2 გამოკვეთილი აუტსაიდერია, რომლებსაც ამ მატჩამდე თითო მოგება ჰქონდათ მოპოვებული.

რუსთაველები თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში იგებდნენ, მაგრამ კაკტუსი არ დანებდა, ბოლომდე იბრძოლა და მეტოქეზე იერიში ბოლო პერიოდში მიიტანა. დასკვნითი მეოთხედის წინ რუსთაველები 5 ქულით იგებდნენ, თუმცა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და საბოლოოდ 5 ქულით დამარცხდნენ.

გამარჯვებულ კაკტუსს რუსთავის საკალათბურთო სკოლის აღზრდილმა გიორგი ტურძილაძემ ულიდერა, რომელმაც 20 ქულა და 19 მოხსნა მიითვალა. 21 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა კაკტუსელთა ახალბედა დელანო სპენსერმა, ნიკოლას ნილის ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა.

რუსთავში 16 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო იყო ისააკ ბენქსი. დარილ ბრაიანტის ანგარიშზე კი 17 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	8	7	1	680:619	15
2.თსუ-ჰიუნდაი	8	6	2	660:617	14
3.დინამო	8	6	2	593:558	14
4.ოლიმპი	8	4	4	650:607	12
5.მგზავრები	8	4	4	634:623	12
6.დელტა	7	4	3	533:501	11
7.ბათუმი	8	2	6	600:679	10
8.ტიტები	7	3	4	559:577	10
9.კაკტუსი	8	2	6	625:694	10
10.რუსთავი	8	1	7	606:665	9

შედეგები

29 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბრაიტონი-ევერტონი 1:0
ლესტერი-კარდიფი 0:1
ტოტენჰემი-ვულვზი 1:3
უოტფორდი-ნიუკასლი 1:1
ფულემი-ჰადერსფილდი 1:0
ლივერპული-არსენალი 5:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	20	17	3	0	48-8	54
2.ტოტენჰემი	20	15	0	5	43-21	45
3.სიტი	19	14	2	3	51-15	44
4.ჩელსი	19	12	4	3	37-16	40
5.არსენალი	20	11	5	4	42-30	38
6.მანჩესტერი	19	9	5	5	37-31	32
7.ვულვზი	20	8	5	7	23-23	29
8.ლესტერი	20	8	4	8	24-23	28
9.უოტფორდი	20	8	4	8	27-28	28
10.ევერტონი	20	7	6	7	31-30	27
11.ვესტ ჰემი	19	8	3	8	27-28	27
12.ბორნმუთი	19	8	2	9	27-33	26
13.ბრაიტონი	20	7	4	9	22-27	25
14.კრ.პალასი	19	5	4	10	17-25	19
15.ნიუკასლი	20	4	6	10	15-27	18
16.კარდიფი	20	5	3	12	19-38	18
17.საუთჰემპტონი	19	3	6	10	20-35	15
18.ფულემი	20	3	5	12	18-43	14
19.ბარნლი	19	3	3	13	17-41	12
20.ჰადერსფილდი	20	2	4	14	12-35	10

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბირმინგემი-ბრენტფორდი 0:0
ბოლტონი-სტოკი 0:0
ბრისტოლი-როტერჰემი 1:0
ვესტ ბრომვიჩი-უენსდი 1:1
ქარ-რედინგი 0:0
ლიდსი-ჰალი 0:2
მიდლსბრო-იფსვიჩი 2:0
მილუოლი-ნოტინგემი 1:0
ნორვიჩი-დერბი 3:4
პრესტონი-ასტონ ვილა 1:1
სუონსი-უიგანი 2:2
შეფილდი-ბლექბერნი 3:0

იტალია. სერია ა

იუვენტუსი-სამპდორია 2:1
ჯენოა-ფიორენტინა 0:0
კიევო-ფროზინონე 1:0
ლაციო-ტორინო 1:1
პარმა-რომა 0:2
სასუოლო-ატალანტა 2:6
უდინეზე-კალიარი 2:0
ემპოლი-ინტერი 0:1
ნაპოლი-ბოლონია 3:2
მილანი-სპალი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	19	17	2	0	38-11	53
2.ნაპოლი	19	14	2	3	37-17	44
3.ინტერი	19	12	3	4	31-14	39
4.ლაციო	19	9	5	5	28-21	32
5.მილანი	19	8	7	4	26-20	31
6.რომა	19	8	6	5	34-24	30
7.სამპდორია	19	8	5	6	32-23	29
8.ატალანტა	19	8	4	7	39-27	28
9.ტორინო	19	6	9	4	24-19	27
10.ფიორენტინა	19	6	8	5	25-18	26
11.სასუოლო	19	6	7	6	30-32	25
12.პარმა	19	7	4	8	17-23	25
13.კალიარი	19	4	8	7	17-25	20
14ჯენოა	19	5	5	9	25-35	20
15.უდინეზე	19	4	6	9	16-23	18
16.სპალი	19	4	5	10	15-27	17
17.ემპოლი	19	4	4	11	22-37	16
18.ბოლონია	19	2	7	10	15-29	13
19.კიევო	19	1	8	10	14-35	11
20.ფროზინონე	19	1	7	11	12-37	10

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

მოტლანდია. ჩემპიონიგა

რეინჯერსი-სელტიკი 1:0
ჰამილტონი-მოზერველი 1:2
კილმანროკი-სტ.მირენი 2:1
ლივინგსტონი-აბერდინი 1:2
დანსი-სტ.ჯონსონი 0:2
ჰიბერნიანი-ჰარტსი 0:1

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ცრუმორწმუნე ინდოელები სამხელიან ბავშვს ეთაყვანებიან

ინდოეთის შტატ ჩხატისგარხში მომლოცველები ეთაყვანებიან ბავშვს, რომელიც სამი ხელით დაიბადა.

სამხელიანი გოგონა შტატის ერთ-ერთ სოფელში ნოემბრის დასაწყისში დაიბადა. ზედმეტი კიდურის ზომა ნორმალურს ჩამორჩება. ის მკერდთან მარჯვენა ხელის ახლოს მდებარეობს.

გოგონა ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებაში გასინჯეს და სრულიად ჯანმრთელად ჩათვალეს. ამავე დროს, შტატის მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გოგონას მშობლებს ურჩია, ზედმეტი ხელის ამპუტაციაზე იფიქრონ. ის მიიჩნევს, რომ ეს გოგონას ნორმალურად ცხოვრებაში დაეხმარება.

ხმა ამ უჩვეულო მოვლენის შესახებ სწრაფად გავრცელდა და ზოგიერთმა ადგილობრივმა გადაწყვიტა, ბავშვი, როგორც ღმერთი, თაყვანისცემის ობიექტად ექცია.

14 წლის წინ დაკარგული კატა სახლში დაბრუნდა

ავსტრალიელი ქალბატონი შობის დღესასწაულს 14 წლის შემდეგ სახლში დაბრუნებულ კატასთან, სახელად როზისთან, ერთად შეხვდა.

სიდნეის მცხოვრები ბიანკა ზამიტის საყვარელი კნუტი სახლიდან იმ დროს გაიქცა, როდესაც ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მას შემდეგ საყვარელი ცხოველი მას ერთხელაც არ ჰყავდა ნანახი.

როგორც გაირკვა, მთელი ამ ხნის განმავლობაში კატა სულ სხვა სახლში, ბიანკას სახლიდან რამდენიმე კვარტლის დაშორებით ცხოვრობდა. კატა ხანში შესულმა მამაკაცმა ქუჩიდან აიყვანა, ვინაიდან ის უპატრონო ეგონა. ცხოველის ახალი პატრონის გარდაცვალების შემდეგ მისმა ნათესავებმა კატა ცხოველთა თავშესაფარში მიიყვანეს. ვეტერინარებმა როზის ჩიპის სკანირებით გაიგეს, თუ ვინ იყო მისი თავდაპირველი პატრონი.



შობის წინ ექიმები ზამიტს დაუკავშირდნენ და მას როზი დაუბრუნეს. ქალმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ ძალიან გახარებულია საყვარელი ცხოველის დაბრუნებით და ამის იმედი არასოდეს დაუკარგავს.

ყოფილი სანტა თავისი ბავშვების ცხედრებს ეზოში მალავდა

ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრები, რომელიც სუპერმარკეტში სანტა-კლაუსად მუშაობით გამოიმუშავებდა ფულს, ბავშვების ცხედრებს საკუთარი სახლის ეზოში მალავდა.

49 წლის ელვინ კროკერის სახლის უკანა ეზოში ჩამარხული ბავშვების სხეულები პოლიციელებმა ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს. ამის მიზეზი გახდა პოლიციაში შესული შეტყობინება მოზარდების – 14 წლის მერი კროკერის და 16 წლის ელვინ კროკერ-უმცროსის გაუჩინარების თაობაზე.

პოლიციის მონაცემებით, მერი სკოლაში ოქტომბრიდან აღარ გამოჩენილა, ხოლო ელვინ-უმცროსი 2016 წლის ნოემბრიდან აღარ უნახავთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბავშვების დაკარგვის თაობაზე ოფიციალური განცხადება არავის გაუკეთებია. ბავშვების დაღუპვის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

კროკერს დაღუპვის ფაქტის დამალვისა და არასრულწლოვნების მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდება წაუყენეს. ასევე ბრალდება წაყენებული აქვთ დაღუპული ბავშვების დედინაცვალს, 33 წლის კენდის კროკერსა და დედამის კიმ რაიტს.

ჯარისკაცის მიერ დაწერილი წერილი მისმა შეყვარებულმა 77 წლის შემდეგ მიიღო

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ქალბატონმა თავისი საქმროს მიერ 1941 წელს დაწერილი წერილი მიიღო.

99 წლის ფილის პონტინგს გადასცეს გზავნილი, რომელიც ატლანტის ოკეანის ფსკერზე იქნა ნაპოვნი. წერილის ავტორი უილტშირის პოლკის სამხედრო მოსამსახურე ბილ უოკერი აღმოჩნდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ხომალდის ჩაძირვის დროს დაიღუპა.

1941 წელს პონტინგმა შეყვარებულს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მისწერა, რომ მის წინადადებაზე, ცოლად გაჰყვეს, თანახმაა. სამწუხაროდ, პასუხი გოგონამ მაშინ ვერ მიიღო. შემდეგ ის ცოლად სხვა მამაკაცს გაჰყვა. ქალს ოთხი შვილი და შვიდი შვილიშვილი ჰყავს. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ შეყვარებულის დაღუპვა მხოლოდ მას შემდეგ გაითავისა, როდესაც ომის დასრულების შემდეგაც აღარ გამოჩნდა.

– ვერ დამიჯერებია, რომ წერილი ოკეანის ფსკერზე იდო და ახლა მე მისი წაკითხვა შემიძლია, – განაცხადა ქალბატონმა.

– ვოცნებობდი იმაზე, რომ შენ ჩემ გვერდით ყოფილიყავი, როდესაც მე წერილს ვხსნიდი. ვქვითინებდი, თავს ვერ ვიკავებდი. რომ იცოდე რამხელა ბედნიერება მომანიჭე, ჩემო ძვირფასო, – ეწერა წერილში.

წერილი იმ კომპანიის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად იქნა ნაპოვნი, რომელიც მასშტაბური კატასტროფის შედეგად ზღვის ფსკერიდან ჩაძირული ნივთების მოძიებითა და ამოღებითაა დაკავებული. უოკერის კონვერტთან ერთად სპეციალისტებმა კიდევ დაახლოებით 700 წერილი იპოვეს. ყველა ისინი ფოსტის მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილად იქცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ბითაძემ ევროლიგა ჩინებულად დაიწყო, შერმადინი საუკეთესოა

ევროლიგაში გოგა ბითაძის ბრწყინვალე დებიუტი შედგა. ცოტა ხნის წინ სერბული მეგა ბიმაქსიდან ჩერნოგორიულ ბუდუჩნოსტში გადასულმა 19 წლის ქართველმა ცენტრმა ევროლიგა დააჭაშნიკა და 23 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა, 4 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ჩერნოგორიული გუნდი გერმანიაში ევროლიგის საპლეიოფო ზონაში მყოფ მიუნხენის ბაიერნს შეხვდა და დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ბუდუჩნოსტი საწყისი 3 პერიოდი იგებდა, მაგრამ მასპინძლებმა ბოლოს იძალეს, დასკვნითი პერიოდი 10 ქულით მოიგეს და საბოლოოდ 93:88 გაიმარჯვეს.

მხოლოდ ეს მარცხი აუფერულებს ოდნავ ბითაძის ქებულ გარჯას, რომელმაც ევროპის უძლიერეს ლიგაში, პირველსავე მატჩში ზემოთ ხსენებული სოლიდური შედეგი აჩვენა. ბითაძეზე უკეთესი შედეგი ბუდუჩნოსტში მხოლოდ ნორის კოულს ჰქონდა, რომელსაც ნბა-ს გუნდებში წლები უთამაშია და გერმანელებთან მატჩში 27 ქულა და 6 პასი მიითვალა. სარგებლიანობის კოეფიციენტიც კოულს ყველაზე მეტი – 30 ჰქონდა, რის შემდეგაც 22 ერთეულით გოგა ბითაძე მოდის.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე ძირითად ცენტრზე, სლოვენიელ ალენ ომიჩზე მეტი დრო გაატარა. გოგამ 9-დან 5 ორქულიანი და 9-დან 7 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. ბითაძემ მატჩში უმეტესი 4 დაფარება მიითვალა, ბუდუჩნოსტის ძირითადში მყოფმა ალენ ომიჩმა კი 16 წუთში 6 ქულა მოაგროვა.

3 მოგებით და 12 მარცხით ბუდუჩნოსტი 16-გუნდიან ევროლიგაში მე-15 ადგილზეა. მომდევნო მატჩს ბითაძის გუნდი მილანში არმანისთან გამართავს.

გიორგი შერმადინმა და ბექა ბურჯანაძემ 2018 წელი მაჟორულ ნოტზე დაასრულეს. ესპანეთის ჩემპიონატის მიმდინარე წლის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრების კალათბურთელთა გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ. რა თქმა უნდა, ერთ-ერთის გუნდი წაგებული გამოვიდა, თუმცა ორივე ბურჯანაძეც და შერმადინიც თავიანთ გუნდებში საუკეთესონი იყვნენ.

ესპანეთის ლიგის აუტსაიდერმა დელტეკომ შერმადინის უნიკახას უმასპინძლა და ბოლო პერიოდამდე გაუძალიანდა. მე-4 მეოთხედის დასაწყისში მასპინძლები მხოლოდ 2 ქულით – 74:76-ს აგებდნენ, შემდეგ კი, მალაგელთა უპირატესობა აშკარა გახდა და მათ დარჩენილი მონაკვეთი 18:6 მოიგეს და საბოლოოდ 94:80 გაიმარჯვეს.

ბურჯანაძემ მოედანზე 23 წუთი გაატარა და 15 ქულა, 4 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 9-დან 6 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

კარგი მატჩი ჰქონდა შერმადინს, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. მის ანგარიშზე 25 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა და 2 დაფარებაა. გიორგიმ ხუთიდან ოთხი 2-ქულიანი და შვიდიდან ექვსი საჯარიმო გამოიყენა.

უნიკახამ 10 მოგება და 4 მარცხი მოაგროვა და მე-4 ადგილზე იმყოფება, დელტეკოს კი 11 წაგების ფონზე 3 გამარჯვება შერჩა და კვლავაც ბოლო მე-18 პოზიციაზეა.

მომავალ წელს მალაგელები ტრავმირებული თად მაკფადენის იბეროსტარ ტენერიფეს უმასპინძლებენ, ბურჯანაძის გუნდი კი ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ ბრეგანს ესტუმრება.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ჯოსვოხდი



1. ჭექა-ქუხილის ღმერთი ვედიზმში; 2. „... ია“; 3. აღმოსავლეთის ქარი; 4. ქალბატონი (ინგლისურად); 5. ასო „ტ“-ს სახელწოდება; 6. გაზაფხულის ყვავილი; 7. ჰო, დიახ; 8. ინდოეთის ფულის ერთეული; 9. კუდიანი ვარსკვლავი; 10. ქართული ჟურნალი; 11. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 12. ნათესავები მამაკაცის ხაზით ანტიკურ სამართალში; 13. შეძახილი კორიდაზე; 14. ... სიბელიუსი; 15. მდინარე ჩინეთში; 16. ... -კლარჯეთი; 17. სამეულის აღმნიშვნელი წინსართი; 18. ჭერზე ჩამოსაკიდი სანათი; 19. ... სოიერი; 20. მოჩვენებითი რამ; 21. ... უილიამსი; 22. ლირიკული ანტიკური ლექსი; 23. სამიანი ნარდში; 24. გაზაფხულის თვე; 25. თვალის გუგა; 26. უნგრელი კომპოზიტორი (1882-1967); 27. ქიმიური ელემენტი; 28. საუნივერსიტეტო ქალაქი აშშ-ში; 29. დეფილეს უშუალო მონაწილე; 30 ... პიტი; 31. ამერიკული თოჯინა; 32. ბედაური; 33. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 34. მუყაითი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. მუმბაი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. ალუპკა; 11. ბეისბოლი; 12. კარიესი; 16. თაობა; 17. დანია; 18. ჰეიგი.

თარაზულად: 1. ჰეტმანი; 5. ფაცხა; 7. ბოლივია; 9. დემბელე; 10. ფაქტორი; 13. კურსები; 15. იავა; 19. ფისკალი; 20. მარჩვიბი; 21. ნაბეღლავი; 22. შიიზმი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფეიხოა; 2. ღვინიო; 3. პამფლეტი; 4. ჩინეთი; 6. პაპარაცი; 8. თრომბი; 11. სინაგოგა; 12. ბენუარი; 16. ფანზა; 17. ჰიჯრა; 18. არაყი.

თარაზულად: 1. ფარღული; 5. ტემპი; 7. ფაჩულია; 9. ხილნარი; 10. ბენფიკა; 13. ბახტაძე; 14. კიბუცი; 15. ცემი; 19. გულიაში; 20. რისლინგი; 21. დელტაპლანი; 22. ნადუღი.

ასტროპროგნოზი 31 დეკემბრისათვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

კახი კავსაძის საახალწლო მილოცვა: „გვიყვარდეს ერთმანეთი!“



მსახიობი კახი კავსაძე სრულიად საქართველოს დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს და საქართველოს გადარჩენისა და გამთლიანების მთავარ საშველს სიყვარულში ხედავს. მსახიობს სჯერა, რომ თუ ქართველები ერთმანეთს შევიყვარებთ, აუცილებლად გვეშველება და ჩვენი ქვეყანაც გამთლიანდება:

– მინდა, მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი. მინდა, ჩვენ სულ ყველას გვიყვარდეს ერთმანეთი, პატივი ვცეთ ერთმანეთს და ალბათ მაშინ ნამდვილად გვეშველება. თუ ჩვენ შევძლებთ პატივი ვცეთ ერთმანეთს და პლუს შევძლებთ ერთმანეთის სიყვარულს, აი, მაშინ ნამდვილად გვეშველება.

გაუმარჯოს საქართველოს, რომელიც ყოველთვის სიყვარულით ივლის წინ, იმიტომ რომ მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული გააძლებინებს საქართველოს. აი, მაშინ ვიქნებით ყველაზე ძლიერნი. გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს, იმიტომ რომ ის სიყვარულით მოსიარულეა და ყოველთვის გამარჯვებული იქნება.

ნოდიკო ტატიშვილმა საახალწლო კლიპი გადაიღო



მომღერალმა ნოდიკო ტატიშვილმა თავისი სტუდიის ბავშვებთან ერთად საახალწლო სიმღერა „ჩემო თოვლის ბაბუა“ ჩაწერა და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღო.

კომპოზიტორ ქეთი გაბისიანის სიმღერაზე ლექსი ლელა ცუცქირიძემ დაწერა და ლამაზი კომპოზიციაც შეიქმნა. მასზე კლიპი რეჟისორმა ნესტან სინჯიკაშვილმა გადაიღო, რომელიც ნოდიკოს ბოლო პერიოდის ყველა ვიდეორგოლის რეჟისორია.

სპეციალურად ამ კლიპისთვის მომღერალმა წვერი თეთრად შეიღება, საჩუქრებით სავსე ხურჯინი ზურგზე მოიგდო და პატარების გასახარებლად გაეშურა.

ვიდეორგოლის პრეზენტაცია კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა და მას ნოდიკოს სტუდიის პატარა მომღერლებთან ერთად მიწვეული სტუმრებიც ესწრებოდნენ.

ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას უამრავი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

ლელა წურწუმია საახალწლო კონცერტზე არ იმღერებს

მომღერალი ლელა წურწუმია საახალწლო კონცერტში მონაწილეობას არ მიიღებს.

ამ ინფორმაციის გაჟღერებამ საზოგადოებაში სხვადასხვა აზრი წარმოშვა, რის გამოც ლელას პროდიუსერი და მეუღლე კახა მამულაშვილი იძულებული გახდა, საჯარო კომენტარი გაეკეთებინა:

– მგონი, უნდა დამთავრდეს უკვე ამ ახალ წელს მაინც, ვინ მღერის და ვინ არა, ეს გარჩევები და სტატიები...

ახალი წლის კონცერტზე რომელიმე პოპულარული მომღერლის გამოსვლა-არგამოსვლით არაფერი იცვლება მის კარიერაში. თუ ადამიანი წარმატებულია და არ იწვევენ იმიტომ, რომ ვიღაცა ბლოკავს, ამით მხოლოდ ორგანიზატორები ზარალდებიან, დამიჯერეთ. წარმატებები ყველა მომღერალს და კონცერტების ორგანიზატორებს. ეს არის ჩემი ბოლო კომენტარი.

ელდარ შენგელაია ბრენდ-პერსონად დასახელდა

85 წლის რეჟისორი ელდარ შენგელაია ბრენდ-პერსონად დასახელდა.

– აუცილებელი არ არის, დიდი ადამიანი იყო, არამედ, უბრალოდ, იყავი ადამიანი, – ეს სიტყვები ეკუთვნის კინომაესტრო ელდარ შენგელაიას.

85 წლის გადმოსახედიდან ხელოვანი ოპტიმისტურად უყურებს საკუთარ ასაკს და 3-4 ფილმის გადაღებას მომავალში კიდევ აპირებს.

ია სუხიტაშვილი იაკობ გოგებაშვილის დედაენასთან დაკავშირებული აჟიოტაჟით გაკვირვებულია

რუსთაველის თეატრის მსახიობი ია სუხიტაშვილი იაკობ გოგებაშვილის დედაენის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟით გაკვირვებულია:

– ეტყობა, პრობლემა ჩემშია, ვერ ვხვდები, რა ხდება, რატომაა გოგებაშვილის დედაენაზე ამხელა დისკუსია და რატომ გაიყო ერი ამის გამო ორად?!

პირველ კლასში ბავშვი სწავლობს წერა-კითხვას, ხომ ასეა?! ნუ, პირველ რიგში, ყოველ შემთხვევაში! სწავლობს, „ი“ რომელია, მერე მის წერას, მერე „ა“-ს და მის წერას. რატომ გოგებაშვილის დედაენა ვერ გვიქაჩავდა ამ ამბავს? ანუ ახლა „ჯ“ ასოთი გნებავთ დავიწყოთ ბგერების შესწავლა თუ „წ“ ასოთი?

რას აწვებით, გააგებინეთ რა ხალხს ცოტა სიღრმისეულად და საერთოდ რას ჰგავს სკოლის პროგრამა, ა?! ეს მოსწონთ ისე, რამე რომ იყოს? იქნებ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაც ძველმოდურია და სტანდარტებს არ შეესაბამება და ვაჟა იქნებ საერთოდ ამოვიღოთ მასალიდან?

ვეღარ ვხვდები, რა გინდათ მართლა?! რასაც თვალს მოვკრავ ჩემი შვილის სახელმძღვანელოში, განსაკუთრებით ლიტერატურის კუთხით, ის, რა ლექსებსაც აძალებთ, რომ ისწავლონ, აი, ეგა�ა სიდებილე და არა გოგებაშვილი და ილია.

„ქართულმა გალობამ“ საუკეთესოები დაჯილდოვა

ფონდმა „ქართულმა გალობამ“ საუკეთესოები გამოავლინა და მათ კომპოზიტორის, ლოტბარისა და მომღერლის არტემ ერქომაიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია გადასცა.

საღამოზე ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობის სფეროში შესრულებული საუკეთესო ნაშრომები გამოვლინდა. საუკეთესო ახალგაზრდულ სამეცნიერო ნაშრომად დასახელდა მონაზონ ნინოს (სამხარაძე) ნაშრომი „შეხვეტილიანის“ ციკლის ისტორიული ჩამოყალიბებისა და მუსიკალური თავისებურებების კვლევის საკითხისათვის“.

ნომინაციაში საუკეთესო ფუნდამენტური კვლევა გაიმარჯვა ნინო ფირცხალავამ სტატიების კრებულისთვის „იოანე პეტრიწი და ქართული მუსიკალურ-ესთეტიკური აზროვნება“.

საუკეთესო გამოყენებითი კვლევის ნომინაციაში გამარჯვებულები გახდნენ სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი და ლევან ვეშაპიძე ქართული გალობის ანთოლოგიის I და VIII ტომებისთვის.

არტემ ერქომაიშვილის სახელობის პრემია ორი წლის წინ დაარსდა და ყოველწლიურად გაიცემა ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობის სფეროში მოღვაწე მკვლევრებისა და შემსრულებლებისათვის.

რუსთაველის თეატრში გამართული ბანკეტი თეატრის კრიტიკის საფუძველი გახდა

რუსთაველის თეატრში საქართველოს ბანკმა საქველმოქმედო ვახშამი გამართა, რაც საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილის ინფორმაციით, რუსთაველის თეატრში ბანკეტი გაიმართა, ეს მაშინ, როცა, მისი აზრით, თეატრში სპექტაკლები იშვიათად იმართება:

– სპექტაკლები იშვიათად იმართება და ბანკეტები მაინც გაიმართოს, კი არაფერი, თეატრმა დამატებითი შემოსავალი უნდა იშოვოს, მაგრამ არტისტებს მაინც დაეტყოს თეატრის შემოსავალი...

რუსთაველის თეატრის დემონი მაკარიჩი ხომ არის კარგად, რაც მთავარია?!

თავის მხრივ, საქართველოს ბანკმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსთაველის თეატრში გამართული საქველმოქმედო ღონისძიება მიზნად ისახავდა მაღალმთიან რეგიონებში სოციალურად აქტიური ახალგაზრდების მხარდაჭერას:

– ღონისძიებაზე, რომელსაც საქართველოს ბანკის მნიშვნელოვანი პარტნიორები ესწრებოდნენ, ქველმოქმედებისთვის 300.000 ლარამდე თანხა შეგროვდა და ახალგაზრდების დიდ ბრიტანეთში განათლების მიღებას მოხმარდება. მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ერთად შევცვალოთ ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდების ცხოვრება. „ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია განათლების ხელშეწყობა. ჩვენ ერთად ვქმნით უკეთეს საქართველოს“, – ნათქვამია საქართველოს ბანკის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ლანა ღოღობერიძე 90 წლის გახდა

კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე 90 წლის გახდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით იუბილარი ხელოვანის დედის ნუცა ღოღობერიძის ფილმი „უუმური“ იქნა ნაჩვენები.

ფილმის ჩვენების დასრულების შემდეგ 90 წლის კინორეჟისორმა ტორტი გაჭრა და განაცხადა, რომ მისთვის დედა გაცოცხლდა და ის თითქოს ახლა დაბრუნდა გადასახლებიდან.

ნუცა ღოღობერიძის ფილმი სამშობლოში ახლახან დაბრუნდა. ის ათწლეულების განმავლობაში რუსეთის ფილმსაცავში „თაროზე იყო შემოდებული“. მხოლოდ ქართული კინოს ისტორიკოსები ფლობდნენ მის შესახებ მწირ და ისიც ზეპირ ინფორმაციას.

85 წელი გავიდა ფილმის პირველი საპრემიერო ჩვენებიდან, თუმცა დღემდე არავის, მათ შორის, არც თავად რეჟისორის ნუცა ღოღობერიძის შვილისთვის იყო აღნიშნული ფილმი ხელმისაწვდომი.

ნოემბერში ფილმ „უუმურის“ საწყისი მასალები საქართველოში იქნა ჩამოტანილი. რუსეთის ფილმსაცავ გოსფილმოფონდიდან ფირის სამშობლოში დაბრუნება და ციფრულ ფორმატში გადაყვანა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, კინოცენტრისა და ეროვნული არქივის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად განხორციელდა.

სამინისტროს ხელშეწყობით, 2019 წელს იგეგმება კინომემკვიდრეობის დაბრუნების პარალელურად, მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით მათი დიგიტალიზაციის ეტაპობრივი პროცესის დაწყება.

ნუცა ღოღობერიძის ფილმ „უუმურის“ ციფრული ვერსიის მომზადება სრულად ეროვნული არქივის ბაზაზე განხორციელდა, რომლის საპრემიერო ჩვენების შემდეგ იგეგმება კიდევ ერთი ჩვენების გამართვა. აღნიშნული ჩვენების ფარგლებში დასწრება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფასოდ შეეძლება.

ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებითა და მხარდაჭერით, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო კინოფონდ „გოსფილმოფონდიდან“ საბჭოთა ეპოქაში, 1921 წლიდან 1991 წლამდე გადაღებული და ფონდის არქივში დაცული ქართული ფილმების სამშობლოში დაბრუნების პროცესი დაიწყო, ხელი 4 წლის წინ მოეწერა. რუსეთიდან ქართული ფილმების საწყისი მასალების ჩამოტანა ეტაპობრივად ახლაც მიმდინარეობს. დღეისთვის, საქართველოში, უკვე 34 ფილმი დაბრუნდა.

კინომემკვიდრეობის სამშობლოში დაბრუნების პარალელურად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ეროვნულ კინოცენტრთან ერთად განაგრძობს კინოარქივისა და ციფრული ლაბორატორიის პროექტზე მუშაობას.

გოგი გვახარიამ 2018 წლის 10 საუკეთესო ფილმი დაასახელა

კინომცოდნე გოგი გვახარიამ წელს შექმნილი ფილმებიდან საუკეთესო 10 ფილმი დაასახელა.

გოგი გვახარიას ათეული ასეთია:

1. „ალმოდებული“ – რეჟისორი ლი ჩან დონი, სამხრეთ კორეა.
2. „მაღაზიის ქურდები“ – რეჟისორი ჰიროკაძუ კორეედა, იაპონია.
3. „ჩემი პროვინციალები“ – რეჟისორი ჟან-პოლ სივეირაკი, საფრანგეთი.
4. „კაპერნაუმი“ – რეჟისორი ნადინ ლაბაქი, ლიბანი.
5. „შავი კლანის კაცი“ – რეჟისორი: სპაიკ ლი, აშშ.
6. „მეურვეობა“ – რეჟისორი ქსავიე ლეგრანი, საფრანგეთი.
7. „დონბასი“ – რეჟისორი სერგეი ლოზნიცა, უკრაინა.
8. „ასაკო 1 და 2“ – რეჟისორი რიუსუკე ჰამაგუტი, იაპონია.
9. „ზაფხული“ – რეჟისორი კირილ სერებრენიკოვი, რუსეთი.
10. „მეკბუტი, ჩემი სიყვარული“ – რეჟისორი აბდელათიფ ქეშიში, საფრანგეთი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

სპილომ პოლიციელები არბენინა

ინდოეთის შტატ ოდიშაში პოლიციამ ერთ-ერთ დასახლებაში შეჭრილი გარეული სპილო გააგდო.

საპატრულო მანქანით გადაადგილების დროს პოლიციელებმა ცხოველი შენიშნეს, სირენა ჩართეს და სპილოს გაეკიდნენ. ცხოველი გაიქცა, თუმცა პოლიციელები მას თავს არ ანებებდნენ და უკან მისდევდნენ.

ცხოველი რამდენჯერმე შემოტრიალდა და პოლიციელების შესაშინებლად რამდენიმე ნაბიჯიც კი გადადგა ავტომობილის მიმართულებით, მაგრამ თავდასხმაზე გადასვლა ვერ გაბედა. საბოლოოდ სპილომ გზიდან გადაუხვია და ხეებს შორის მიიმალა.

ცხოველის დევნის დროს ადგილობრივები გააფრთხილეს, რომ სახლებიდან არ გამოსულიყვნენ ან, აუცილებლობის შემთხვევაში, შემოვლითი გზებით ესარგებლათ.

ქურდმა ბანკი ჯოხით გაძარცვა და შენიღბვამ გასცა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ჰეტფილდში მძარცველი რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციას ხეზე ემალებოდა.

30 წლის მაიკლ ტეილორი ბანკში შეიჭრა და ჯოხის მუქარით მოლარეს ფული წაართვა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან წითელი ფერის ჯიპით მიიმალა. მალე მანქანა გზატკეცილზე შენიშნეს, თუმცა ის პოლიციის მოთხოვნას, შეჩერებულიყო, არ დაემორჩილა. ტეილორმა ტყემდე მიაღწია და მის სიღრმეს შეაფარა თავი.

ეჭვმიტანილის ძებნაში ხუთი დეპარტამენტის პოლიციელები ჩაერთვნენ. სამძებრო ოპერაცია ოთხ საათს გაგრძელდა და წარმატებით მხოლოდ შემთხვევის წყალობით დასრულდა. როგორც გაირკვა, მთელი ამ დროის განმავლობაში მამაკაცი ფულით სავსე ტომრით ხეზე იჯდა. ის მხოლოდ მას შემდეგ დაიჭირეს, რაც ტოტი მოუტყდა და მიწაზე ჩამოვარდა.

ტეილორს შეიარაღებული ძარცვის, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და პოლიციისთვის მანქანის გაჩერების მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

31 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6766
- ევრო — 3.0701
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3955
- 100 რუსული რუბლი — 3.8588

ამინდის პროგნოზი 31 დეკემბრისთვის



25 დეკემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

თოვლიან ქუთაისში გვიან ღამით ბოროტმოქმედები ქურდავენ ტყეშელიაძის ბინას. მოულოდნელად იღვიძებს ბინის პატრონი, ქურდებთან ბრძოლას იწყებს და ერთ-ერთ ბანდიტს მძიმედ დაჭრის. ბანდიტი გარბის.

იწყება გამოძიება, რომლის დროს გამოჩნდება კანონიერი ქურდი საშკა ჩერქეზი, რომელიც მთელ იმდროინდელ საბჭოთა ქურდულ სამყაროს შიშის ზარს სცემს.

გამომძიებელი ლევან მინდელი საშკა ჩერქეზს კვალში ჩაუდგება. მათი მოულოდნელი შეხვედრა ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

4 იანვრიდან



იორამ ჩადუნელი

საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



8 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სილამაზის დედოფალს გვირგვინის მიღების დროს ცეცხლი წაეკიდა

სილამაზის კონკურს „მის აფრიკის“ გამარჯვებულის დაჯილდოების დროს, რომელიც ნიგერიის ქალაქ კალაბარში იმართებოდა, გოგონას პარიკზე ცეცხლი წაეკიდა.

კონკურსში პირველი ადგილი კონგოს წარმომადგენელმა, 24 წლის დორკას კასინდემ დაიკავა. ტიტულის გარდა, მან 35 ათასი დოლარი და ავტომობილი ყველგანმავალი მიიღო. მას გვირგვინს გადასცემდა ბოტსვანელი სილამაზის დედოფალი, რომელმაც ამ კონკურსში 2017 წელს გაიმარჯვა.

იმ დროს, როდესაც კასინდე თავის წინამორბედს ეხვეოდა, მის პარიკს მაშხალების მიერ გამოტყორცნილი ნაპერწკლები დაეცა. გოგონას მაშინვე არ გაუგია, რომ თავზე ცეცხლი ეკიდა. ის გადაარჩინეს ცერემონიის წამყვანმა და რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც სცენაზე აიჭრნენ. მათ დაუყოვნებლივ ჩააქრეს ცეცხლი, რის შემდეგაც ცერემონია გაგრძელდა.

ქურდი მისმა სუნიანმა ფეხებმა გასცა

ჩინეთის პროვინცია ანხოის ქალაქ ვანჩჟიში ქურდი საკუთარი ძალიან ცუდი სუნის ფეხების წყალობით ჩავარდა.

მამაკაცი ცდილობდა, შეეღწია სასტუმროში იმ დროს, როდესაც შესასვლელ კარს არავინ აკონტროლებდა. მან იმისთვის, რომ უხმაუროდ ემოძრავა, ფეხსაცმელები გაიხადა და ფეხის წვერებზე შეიპარა ფოიეში, თუმცა ასეთმა სიფრთხილემ ვერ უშველა, სასტუმროს მფლობელმა, რომელიც სხვა ოთახში იმყოფებოდა, მისი ფეხების სუნი იყნოსა.

ის ფოიეში გამოვარდა და გაქცეულ ქურდს გამოუდგა. მან მისი დაწევა ავტოსადგომთან შეძლო. დაპატიმრების შემდეგ ეჭვმიტანილმა აღიარა, რომ იმავე დღეს კიდევ რამდენიმე სასტუმრო გაქურდა და, მისი თქმით, ამ დანაშაულისკენ უფულობამ უბიძგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

რესტორანში ოფიციანტი კლიენტს ეკითხება:

– რას ინებებთ?

– რა და ის მინდა, აგერ იმ მაგიდასთან მჯდომს თეფშზე რომ უდევს.

– პრობლემა არაა, ბატონო! მე იმ მამაკაცს ტელეფონთან გავიტყუებ და თქვენ სწრაფად იმოქმედეთ.

...

ცოლი ქმარს ეკითხება:

– რამდენს სვამ?

– დღეში ჭიქა წითელი ღვინო სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

– მერვე ჭიქას სვამ.

– უკვდავებას ვესწრაფვი.

...

სიძეს პატარძალი ეკლესიიდან ხელში აყვანილი გამოჰყავს. ამ დროს პატარძალი ყურში ჩასჩურჩულებს:

– ძვირფასო, ჩვენ ხომ უკვე დავქორწინდით?

– რა თქმა უნდა, საყვარელო.

– ჰოდა, მაშინ მოდი, კისერზე შეგაჯდები.

...

მოსამართლე ქალს ეკითხება:

– რატომ გსურთ ქმართან განქორწინება?

– იმიტომ, რომ ისე მექცევა, როგორც ძაღლს.

– და ეგ რით გამოიხატება?

– ჩემგან ერთგულებას მოითხოვს...

...

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– მომისმინე, ვალის მოცემას როდის აპირებ?

– რა ვალის?

– რა და შენი ფუტკრები ჩემს ყვავილებზე ნექტარს რომ აგროვებენ, რაღაც მათ თაფლს ვერ ვხედავ.

– კარგი, მე მათ ვეტყვი, რომ შენი ყვავილებიდან აღარ მოაგროვონ ნექტარი, ჰოდა, მიდი და თავად შეაგროვე!

...

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, პატარძალს თეთრები რატომ აცვია?

– იმიტომ, შვილო, რომ გახარებული და ბედნიერია, ახალი ცხოვრებისთვის ემზადება.

– ახლა უკვე გასაგებია, სიძეს შავები რატომ აცვია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ექვსმა მამაკაცმა მაიმუნი ცოცხლად შეჭამა და თავი ციხეში ამოყო

ვიეტნამში დააპატიმრეს ის პირები, რომლებიც ინტერნეტში ცოცხალი მაიმუნის, ლანგურის შეჭმის ტრანსლირებას ახორციელებდნენ.

ინციდენტი 17 ნოემბერს მოხდა. იშვიათი სახეობის მაიმუნს ექვსი მამაკაცი ჭამდა, რომელთაგან უმცროსი 35, ხოლო უფროსი – 59 წლის იყო. ერთ-ერთი მათგანი „ქეიფს“ მობილური ტელეფონით იღებდა და ვიდეოს ფეისბუქით გადასცემდა.

პოლიციას ერთ თვეზე მეტი დრო დაჭირდა მათი ვინაობის დასადგენად. ექვსივე „მოქეიფე“ 27 დეკემბერს დააპატიმრეს. მათ საკუთარი დანაშაული აღიარეს. მათ ბრალად ვიეტნამის ბუნების დაცვის კანონების დარღვევის ბრალდება წაუყენეს.

როგორც გაირკვა, ლანგური ერთ-ერთმა მათგანმა იყიდა და მასში მონადირეს 1,1 მილიონი დონგი გადაუხადა, ხოლო თუ რატომ გადწყვიტეს ცხოველის ცოცხლად შეჭმა, ჯერჯერობით უცნობია.

ქალი დონორის წყალობით გადარჩა და ბავშვიც გააჩინა

ბავშვის გაჩენის შემდეგ ბრიტანელმა ქალმა განაცხადა, რომ ფეხმძიმობის დროს მან სამადლობელი წერილი გაუგზავნა მისი გადამრჩენლის ორგანოების დონორის ნათესავებს.

ორი წლის წინ ელი ლეისის მოულოდნელად ღვიძლის უკმარისობა დაემართა. მისი სიცოცხლის გადასარჩენად ტრანსპლანტაცია გახდა აუცილებელი. ღვიძლი აიღეს ახალი გარდაცვლილი ხანდაზმული ქალბატონისგან. ის გარდაცვალების წინ ორგანოების დონორი გახდა.

2018 წელს ლეისიმ შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო და გადაწყვიტა, ამის შესახებ შეეტყობინებინა იმ ქალბატონის ოჯახისთვის, რომლის წყალობითაც სიცოცხლე შეინარჩუნა.



– საკუთარი ფეხმძიმობის გაგებიდან შვიდი თვის შემდეგ მოვიკრიბე გამბედაობა და წერილი გავუგზავნე მის ოჯახს. მე მათ განვუმარტე, რომ მისი მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნებოდი და რომ ის ჩემთვის გმირი იყო, – განმარტა ლეისიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. სისხლძარღვთა კედლის შინაგანი გარსი; 8. ოპტიკური მინა; 9. თავისუფალი ფორმის ინსტრუმენტული პიესა; 10. პლანეტა მზის სისტემაში; 12. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი; 13. ... გურგულია; 14. ინგლისელი ფიზიკოსი; 19. დიდი სანთელი; 21. მიჯნა; 23. ქართული ჟურნალი; 24. ორი არასასურველი არჩევანიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა; 25. ერთგვარი ყავა; 26. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი.

შვეულად: 1. ლამების გვარის ცხოველი; 2. დროის მცირე მონაკვეთი; 3. კრივში წესის დარღვევა; 4. ძაღლის ჯიში; 5. კუჭუკანა ჯირკვლის ჰორმონი; 7. ... ძე დუნი; 11. მეტრო ამერიკაში; 15. ურჩხული; 16. კაფე გერმანიაში; 17. ზრდადაუსრულებელი ქათამი; 18. წლოვანება; 20. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 22. ცვარ-... .

შეადგინა ოლივერ კოხიამ